1852

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. ქ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა
25 აგვისტო
1940 წ.
№ 197 (5898)
ფასი 10 კაპ.

სანიმუშოდ მოვემზადოთ შაქრის ჭარხლის მოსავლის აღებისათვის

ქართლის სოციალისტურ მინდვრებზე შაქრის ჭარხლის საუცხოო მოსავალი მწიფდება. ცალკეული კოლმეურნეობანი ჰექტარზე საშუალოდ 300-400 და კიდევ მეტ ცენტნერს მიიღებენ. წინასწარი ვარაუდით ცალკეული ბრიგადები და რგოლები ჰექტარზე 500-800 და 1000 ცენტნერ მოსავალს მოელიან. ეს კარგი მოსავალი თავისთავად არ მოსულა. იგი მოპოვებულია სტახანოვური შრომით, აგროტექნიკურ ღონისძიებათა მთელი კომპლექსის ურყევად გატარებით, შაქრის ჭარხლის ნათესთა კარგი მოვლა-დამუშავებით.

„სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების აღებისა და დამზადების შესახებ" საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილება ავალებს მეჭარხლეობის რაიონების პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს არ მოაკლონ ყურადღება შაქრის ჭარხლის ზრდას და არ შესწყვიტონ ჭარხლის მოვლა მარცვლეული კულტურების აღების დროს. მაგრამ ზოგან მთელი სერიოზულობით როდი ეკიდებიან შაქრის ჭარხლის კულტურას, რომელიც კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შეძლებულობის ერთერთი მნიშვნელოვანი წყაროა. მაგალითად, ქარელის რაიონის სოფ. ზემო-ხვედურეთის, ღვლევის, ქარელის და კეხისჯვრის კოლმეურნეობებში ჭარხლის გამოხშირვა-გაფხვიერება გააჭიანურეს. კასპის რაიონის სოფ. ქვემო და ზემო-რენეს და ნიქოზის კოლმეურნეობებში გამოხშირვას თან არ სდევდა გათოხნა, სუსტად მოემზადნენ დამატებითი კვებისათვის. ეს ფაქტები გამონაკლისი როდია.

ამჟამად სწარმოებს ჭარხლის ძირის ინტენსიური ზრდა და შაქრის დაგროვება. ეს მოითხოვს ნიადაგი იყოს ფხვიერ მდგომარეობაში და ჭარხლის ნაკვეთებში მოისპოს სარეველა ბალახები, რომ მცენარის ზრდა-განვითარება ნორმალურად სწარმოებდეს. სწორედ ეს განსაკუთრებული მომენტი სამიწათმოქმედო ორგანოებისა და მეჭარხლე კოლმეურნეობების წინაშე აყენებს საბრძოლო ამოცანას — კი არ შეასუსტონ, არამედ კიდევ უფრო გააძლიერონ ყურადღება შაქრის ჭარხლის მოვლა-პატრონობისადმი.

ანგარიში უნდა გაეწიოს წლევანდელი ზაფხულის თავისებურებას. ამ ბოლო დროს დამდგარი გვალვები მთელი სერიოზულობით აყენებს ჭარხლის მორწყვის სათანადო სიმაღლეზე დაყენების საკითხს. ამავე დროს გორის, ხაშურის, კასპის და ქარელის რაიონებიდან იტყობინებიან, რომ ზოგიერთ კოლმეურნეობაში სარწყავი არხები სრულ წესრიგში არ არის მოყვანილი, სარწყავი ქსელის შეკეთებას ახლა აწარმოებენ, რის გამო ბევრგან მორწყვა წესიერად არ სწარმოებს. ხაშურის რაიონის სოფ. კრისხევის, ხცისის და სხვა კოლმეურნეობებში არ რწყავენ ჭარხლის პლანტაციებს, თუმცა საამისო საშუალება მოეპოვებათ. ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებმა უნდა დარაზმონ კოლმეურნეთა მასები მორწყვის საქმის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის. კერძოდ, საქმიწსახკომის წყალთა მეურნეობის სამმართველომ კოლმეურნეობებს ამ მხრივ განსაკუთრებული დახმარება უნდა გაუწიოს.

მალე დაიწყება შაქრის ჭარხლის ამოღება. ეს გვიკარნახებს სანიმუშოდ მოვემზადოთ ჭარხლის მოსავლის აღებისათვის, არ დავკარგოთ არცერთი კილოგრამი ჭარხალი და სახელმწიფოს მივცეთ რაც შეიძლება მეტი შაქარი, რადგან ამას მოითხოვს სახელმწიფოს, კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა ინტერესები.

„სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების აღებისა და დამზადების შესახებ" საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილება უდიდეს სტიმულს ჰქმნის შაქრის ჭარხლის მაღალი მოსავლისათვის ბრძოლაში. დადგენილებაში ნათქვამია: „რჩევა მიეცეს კოლმეურნეობათა გამგეობებს, რომ ერთიორად გაადიდონ ჭარხლის მოვლის სამუშაოებში შრომადღეთა დარიცხვა 1-დან 25 აგვისტომდე იმ პირობით, თუ შესრულებულ იქნება გამომუშავების დღიური ნორმა, და აგრეთვე ანაზღაურებისა და პრემირების არსებული სისტემის დამატებით დაუწესონ შრომადღეების დარიცხვა რგოლებს ერთი შრომადღის ოდენობით გეგმის გადაჭარბებით მიღებული ყოველი ორი ცენტნერი ჭარხლისათვის და მისცენ კოლმეურნეობების მიერ შაქრის ქარხანაში მიღებული პრემია-დანამატის თანხის 50% იმ რგოლებს, რომლებმაც კონტრაქტაციის მიხედვით ჭარხლის თითო ჰექტარიდან ჩააბარეს იმაზე არანაკლები რაოდენობა, რისი ჩაბარებისას კოლმეურნეობა იღებს პრემიალურ დანამატს".

წელს 4.502 ჰექტარი ჭარხლის მოსავალი აღებული იქნება მექანიზებული წესით. ეს ავალებს მეჭარხლეობის რაიონთა მტს-ების ხელმძღვანელებს 10 სექტემბრისათვის დაამთავრონ იმ ტრაქტორების რემონტი, რომელნიც ჭარხლის ამოღებაზე იმუშავებენ. ახლავე უნდა შეადგინონ ჭარხლის ამომღები მანქანების მუშაობის გრაფიკი და მინდვრად გასვლისას თვალყური ადევნონ ყოველდღიური ნორმების შესრულებას.

კოლმეურნეობებმა უნდა შეიძინონ მოსავლის ასაღები წვრილი ინვენტარი (ფიწლები, დანები და სხვ.) და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ადგილობრივ სატრანსპორტო საშუალებათა გადიდებას, კერძოდ სრულ წესრიგში მოიყვანონ ურმები. არავითარ შემთხვევაში არ უნდა განმეორდეს შარშანდელი შეცდომა, როცა მთელი რიგი კოლმეურნეობები ჭარხლის ამოღების გაცხარებული სამუშაოების დროს კოლმეურნეობის ცოცხალ გამწევ ძალას მეორეხარისხოვან საქმეზე ამუშავებდნენ.

იმ კოლმეურნეობებში, რომელთაც სატრანსპორტო საშუალებათა მდგომარეობის მიხედვით არ შეუძლიათ უზრუნველჰყონ შაქრის ჭარხლის გაზიდვა დაწესებულ ვადებში, ამთავითვე უნდა შესდგეს ჭარხლის მინდვრად დაკაგატების (ზვინებად დადგმა) გეგმა. ჭარხლის ზვინებად დადგმა დანაკარგებთან ბრძოლის ერთერთი მძლავრი საშუალებაა.

გორის, კასპის, ხაშურის და ქარელის რაისაბჭოების აღმასკომებმა უნდა იზრუნონ იმაზე, რომ 1 სექტემბრისათვის სრულ წესრიგში იქნას მოყვანილი გზები, ხიდები და ბოგირები. ამ მხრივ მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. მაგალითად, ხაშურის რაიონის სოფ. ქემფერთან შესაკეთებელია სამი ხიდი. ცუდ მდგომარეობაშია ხაშურის ჭარხლის მიმღებ პუნქტთან მისასვლელი გზები.

დიდი ამოცანების წინაშეა აგარის შაქრის ქარხანაც. მან უნდა უზრუნველჰყოს მიმღები პუნქტების დროზე მომზადება შაქრის ჭარხლის შესანახად.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მიმღები პუნქტების შემოწმებული კადრებით (პუნქტების გამგეები, მიმღებნი, მწონავები, წუნმდებლები, დამკაგატებლები) დაკომპლექტებას.

მეჭარხლეობის რაიონების პარტრაიკომებმა ბიუროების სხდომებზე უნდა მოისმინონ ჭარხლის მოსავლის აღების მზადების საკითხები და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი. პარტიის რაიკომებმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, რაისაბჭოების აღმასკომებმა მთელი მუშაობა ისე უნდა წარმართონ, რომ უზრუნველჰყონ შაქრის ჭარხლის სახელმწიფოსათვის ჩაბარების გეგმების მთლიანად შესრულება ყველა რაიონსა და ყველა კოლმეურნეობაში.

ლიტვის სს რესპუბლიკის სახალხო სეიმის საგანგებო სესია

კაუნასი, 23 აგვისტო (საკდესი). 24 აგვისტოს, 18 საათზე, გაიხსნება ლიტვის სს რესპუბლიკის სახალხო სეიმის საგანგებო სესია.

ლატვიის სს რესპუბლიკის სეიმის საგანგებო სესია

რიგა, 23 აგვისტო (საკდესი). სეიმის პრეზიდიუმი, 24 აგვისტოს 18 საათზე იწვევს ლატვიის სეიმის საგანგებო სესიას.

ესტონეთის სს რესპუბლიკის სახელმწიფო სათათბიროს სესია

ტალინი, 23 აგვისტო (საკდესი). სახელმწიფო სათათბიროს პრეზიდიუმი 24 აგვისტოს, 12 საათზე იწვევს ესტონეთის სს რესპუბლიკის სახელმწიფო სათათბიროს სესიას.

ხალხისადმი მტრულად განწყობილი ორგანიზაციების დახურვა ესტონეთში

ტალინი, 23 აგვისტო (საკდესი). შინაგანი უშიშროების უფროსის გადაწყვეტილებით, დახურულია ესტონეთის მეფაბრიკეთა კავშირი, როგორც მტრული, ანტიხალხური ორგანიზაცია. დახურულია აგრეთვე ესტონური აკადემიური კლუბი ნარვაში და გრაფიულ ნაწარმოების მფლობელთა კავშირი ტარტუში, რომელნიც მშრომელთა მიმართ მტრულ საქმიანობას ეწეოდნენ.

ექსკურსიები ლიტვიდან, ლატვიიდან და ესტონეთიდან სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების გლეხები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები უდიდეს ინტერესს იჩენენ სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისადმი.

ახალი საბჭოთა რესპუბლიკების მოქალაქეთა სურვილის დასაკმაყოფილებლად, სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარი კომიტეტი უახლოეს დროში აწყობს ექსკურსიებს ბალტიისპირეთიდან.

გამოფენაზე სექტემბრის განმავლობაში მოწვეულ იქნება ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის სს რესპუბლიკების 1.000 გლეხი და სოფლის მეურნეობის სპეციალისტი, აქედან ლატვიიდან ჩამოვა 480 კაცი, ლიტვიდან — 320 კაცი და ესტონეთიდან — 200 კაცი.

მოსკოვში თვითეული ექსკურსია 6 დღეს დაჰყოფს. აქედან ხუთი დღე მიეძღვნება გამოფენის დათვალიერებას და ერთი დღე — დედაქალაქის გაცნობას.

ბალტიისპირა რესპუბლიკებიდან ექსკურსანტების პირველ ჯგუფს სექტემბრის დასაწყისში მოელიან. (საკდესი).

ქრონიკა

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ სსრ კავშირის თევზის მრეწველობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობაში შეიყვანა რუსეთის სფს რესპუბლიკის თევზის მრეწველობის სახალხო კომისარი ამხ. ა. ა. სბროდოვი. (საკდესი).

⊙

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხ. ი. გ. ბოგაევი, თანახმად მისი თხოვნისა, გაათავისუფლა სსრ კავშირის თევზის მრეწველობის სახალხო კომისრის პირველი მოადგილის მოვალეობისაგან. (საკდესი).

⊙

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხ. ვ. ა. ზადოროვი გაათავისუფლა სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარი სამმართველოს კოლეგიის წევრის მოვალეობისაგან. (საკდესი).

უკანასკნელი ცნობები

გერმანიის სარდლობის ცნობა

ბერლინი, 24 აგვისტო (საკდესი). გერმანიის უმაღლესი სარდლობა იუწყება: ჩვენმა სამხედრო-საზღვაო ძალებმა ავსტრალიის წყლებში ჩასძირეს ინგლისის შეიარაღებული სავაჭრო გემი „ტურაკინა", 8.706 ტონა წყალწყვისა. ამ უკანასკნელი 8 დღის განმავლობაში ჩვენმა წყალქვეშა ნავებმა ჩასძირეს სავაჭრო გემები, რომელთა საერთო წყალწყვა 100.000 ტონას აღემატება.

23 აგვისტოს დღისით და ღამით ჩვენი თვითმფრინავები თავს დაესხნენ სანავსადგურო ნაგებობებსა და დოკებს, აეროდრომებს, სამხედრო ქარხნებსა და ჯარის განლაგების ადგილებს სამხრეთ და ცენტრალურ ინგლისში. ღამის თავდასხმის დროს ბრისტოლის ნავსადგურის ნაგებობებში, ევონმუტში, დევონპორტსა და გრეიტ-იარმუტში და აგრეთვე კემბრიჯის აეროდრომზე მოხდა აფეთქება და გაჩნდა ხანძარი.

წუხელ მტრის რამდენიმე თვითმფრინავმა ყუმბარები ჩამოჰყარა დასავლეთ გერმანიაში. იერიში უშედეგო იყო. გუშინ ჩამოგდებულ იქნა მტრის შვიდი თვითმფრინავი. ჩვენი 2 თვითმფრინავი არ დაბრუნებულა.

დუვრის ბომბარდირება

ნიუ-იორკი, 24 აგვისტო (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, დუვრის მრავალი მცხოვრები ქალაქს სტოვებს იმის შიშით, რომ ქალაქს დაუშენს გერმანიის არტილერია. როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ქალაქს მოხვდა 40 ჭურვი. არის 2 მოკლული და 5 დაჭრილი.

იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, სამხრეთ-აღმოსავლეთ ინგლისში გუშინ დილით ჩამოჰყარეს 200-მდე ცეცხლგამჩენი ყუმბარა. ნგრევა უმნიშვნელოა. გაზეთ „ჩიკაგო დეილი ნიუსის" კორესპონდენტი, რომელიც დუვრში იმყოფება, იუწყება, რომ 22 აგვისტოს ქალაქს დაუშინა გერმანიის არტილერიამ. ჭურვები ყოველ 4-5 წუთში ვარდებოდა.

ინგლის-ინდოეთის ურთიერთობის გამწვავება

ნიუ-იორკი, 24 აგვისტო (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, ინდოეთის ნაციონალური კონგრესის აღმასკომის ბიურომ წინადადება მისცა ნებაყოფლობით ორგანიზაციებს განაგრძონ მოღვაწეობა, უყურადღებოდ დასტოვონ რა ინგლისის ხელისუფალთა განკარგულება ამ მოღვაწეობის აკრძალვის შესახებ.

შეტაკება საფრანგეთის ინდო-ჩინეთის საზღვარზე

ლონდონი, 24 აგვისტო (საკდესი). ჰონკონგიდან მიღებული ცნობით, როცა საფრანგეთის ინდო-ჩინეთის ტერიტორიაზე შესული იაპონიის ჯარი ქალაქ ტუნლუსთან (საზღვრიდან ორ მილზე) გამოჩნდა, მას დაუშინეს ტყვიამფრქვევი. იაპონიის ჯარმა უკან დაიხია. მსხვერპლი არცერთ მხარეს არა აქვს.

გერმანიის ავიაციის თავდასხმა ინგლისზე

ნიუ-იორკი, 24 აგვისტო (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, 24 აგვისტოს დილით გერმანიის 17 თვითმფრინავი გაჩნდა ინგლისის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე. დუვრში ისმოდა ყუმბარების აფეთქება.

კენტის საგრაფოს სამხრეთ სანაპიროზე ჩამოგდებულია სამი ყუმბარა. რამდენიმე საათის განმავლობაში ინგლისის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს გადაუარა გერმანიის მრავალმა თვითმფრინავმა, მათ შორის არანაკლებ 24 „იუნკერს—88". რომელთაც ახლდათ „მესერშმიდტები". ინგლისის თვითმფრინავები დაუყოვნებლივ აფრინდნენ. 7 საათსა და 24 წუთიდან 8 საათსა და 15 წუთამდე გრინვიჩის დროით ლონდონში გამოცხადებული იყო საჰაერო განგაში.

იუნაიტედ პრესის სააგენტოს ლონდონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ 23 აგვისტოს ნაშუაღამევს გერმანიის თვითმფრინავმა სამი ყუმბარა ჩამოაგდო ლონდონის მიდამოებში.

ინგლისის იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით, რომელიც ინგლისის სამხრეთ-სანაპიროს ერთერთ ქალაქში იმყოფება, ინგლისის საზენიტო ქვემეხებმა სროლა აუტეხეს საფრანგეთისაკენ მიმავალ გერმანიის თვითმფრინავებს.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

აკადემიკოს ე. ა. ჩუდაკოვის დაჯილდოების შესახებ

საავტომობილო ტექნიკის ხაზით სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის დარგში განსაკუთრებული დამსახურებისათვის, დაბადების 50 წლისა და სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის 25 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით აკადემიკოსი ევგენი ალექსის-ძე **ჩუდაკოვი** დაჯილდოებულ იქნას **შრომის წითელი დროშის ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი.
1940 წ. 23 აგვისტო

ივანოვო-ვოზნესენსკის მუშათა გაფიცვის 25 წლისთავი

ივანოვო, 23 აგვისტო (საკდესი). დღეს შესრულდა 25 წელი იმ დღიდან, როცა მეფის მთავრობამ დახვრიტა ივანოვო-ვოზნესენსკის მუშათა დემონსტრაცია.

საწარმოებსა და დაწესებულებებში მოეწყო გამოფენები, გაიმართა საუბრები, დრამატიული თეატრის ახალ შენობაში შესდგა პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული, პროფკავშირული აქტივისა და რევოლუციური გაფიცვის მონაწილეთა საერთო-საქალაქო კრება. კრებას დაესწრო 1500 კაცი. შეკრებილებმა მოისმინეს მოხსენება ივანოვო-ვოზნესენსკის ფეიქრების რევოლუციური ბრძოლისა და 1915 წლის 23 აგვისტოს სამახსოვრო ამბების დღეებში მეფის ჯალათების მიერ მათი დემონსტრაციის დახვრეტის შესახებ.

კრების მონაწილეებმა მიიღეს მისალმება ამხანაგ სტალინისადმი.

ლატვიის კურორტები მშრომელთა კუთვნილებად იქცნენ

რიგა, 23 აგვისტო (საკდესი). ლატვიის კურორტები, რომლებითაც წინათ მხოლოდ მდიდრები სარგებლობდნენ, ახლა ხალხის ფართო მასებისათვის მისაწვდომი ხდებიან. სახალხო კეთილდღეობის მინისტრმა ამხ. ი. ლაცისმა ამის გამო შემდეგი განაცხადა:

— სახელმწიფო კისრულობს მშრომელთა ჯანმრთელობისათვის ზრუნვას და ამ მიზნით გამოიყენებს ყველა სამკურნალო და დასასვენებელ ადგილს. ათასობით მუშებსა და მოსამსახურეებს შეეძლებათ იმკურნალონ კემერნის კურორტზე, სადაც უმდიდრესი გოგირდოვანი წყაროებია. კემერნის საუცხოოდ მოწყობილი, კომფორტიანი სასტუმრო გადაქცეულია სანატორიუმად. აქ მკურნალობის კურსი უკვე დაიწყო ავადმყოფთა პირველმა ჯგუფმა — ყოფილმა პოლიტპატიმრებმა, ბურჟუაზია-მემამულეთა პლუტოკრატიული ხროვის წინააღმდეგ მებრძოლებმა. განზრახულია კიდევ რამდენიმე სანატორიუმის აგება. ვიხილავთ კემერნის საერთო-საკავშირო მნიშვნელობის კურორტად გადაქცევის შესაძლებლობის საკითხს.

მოსკოვის საქალაქო მეურნეობის გამოცდილება ესტონეთის დედაქალაქს

ტალინი, 23 აგვისტო (საკდესი). სახელმწიფო სათათბიროს სრულუფლებიანი კომისიის წევრმა, ტალინის ქალაქის თავმა ამხ. ა. კიიდელმამ საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ილაპარაკა მოსკოვში მიღებულ შთაბეჭდილებებზე და ტალინში ახალი საქალაქო მშენებლობის უახლოეს გეგმებზე.

— ის, რაც მოსკოვში ვნახე, — ამბობს ამხ. კიიდელმა, — არასოდეს არ წაიშლება ჩემს ხსოვნაში. კეთილმოწყობისა და იმ ტექნიკის მხრივ, რომელსაც საქალაქო მეურნეობაში იყენებენ, მოსკოვს უდავოდ ერთერთი პირველი ადგილი უკავია მსოფლიოს დედაქალაქებს შორის. მოსკოვს ბევრი რამ აქვს ისეთი, რაც უნდა ვისწავლოთ!

ჩვენ ახლა გადავწყვიტეთ დიდი ყურადღება მივაქციოთ საბინაო მშენებლობას ტალინში. მუშათა რაიონ კოპლში აგებულ იქნება რამდენიმე დიდი სახლი, იულიმისტეს ტბის მახლობლად — საცხოვრებელი სახლი წყალგამწმენდი სადგურისა და ქალაქის წყალსადენის მუშა-მოსამსახურეთათვის. განზრახულია ქალაქის საავადმყოფოსთან აშენებულ იქნას სამშობიარო სახლი. ქალაქი მიიღებს აგრეთვე პირველხარისხოვან, კარგად მოწყობილ აუზებიან აბანოს. მნიშვნელოვნად უმჯობესდება საქალაქო ტრანსპორტი. შეკვეთილია და წლის დამლევს იქნება მიღებული და იმუშავებს 10 ახალი ავტობუსი, რომლებიც უკეთ დააკავშირებენ მუშათა რაიონებს ქალაქის ცენტრთან.

ესკალატორები და ლიფტები საბჭოების სასახლეში

დამთავრდა საბჭოების სასახლეში ესკალატორებისა და ლიფტების მოწყობის ტექნიკური პროექტის შედგენა.

დიდ დარბაზში (რომელიც 21 ათას კაცს დაიტევს) შემსვლელთათვის მომსახურების გასაწევად გათვალისწინებულია 130 ესკალატორის მოწყობა. ეს უზარმაზარი დარბაზი შეიძლება ავსებულ და განტვირთულ იქნას 7-8 წუთის განმავლობაში ოთხ დონეზე გამართული ესკალატორების საშუალებით.

საბჭოების სასახლის ესკალატორების კონსტრუქციაში, მეტროპოლიტენის ესკალატორებთან შედარებით, შეტანილია მთელი რიგი გაუმჯობესებანი. ისინი უხმაურონი იქნებიან. დამხმარე ესკალატორები მთავარ ვესტიბიულებს დააკავშირებენ მეტროპოლიტენთან, მდინარე მოსკოვის სანაპიროსთან და ავტომანქანების სადგომთან.

სასახლის დიდი დარბაზის გუმბათს ზემოთ იქნება ეგრეთწოდებული მაღალი ნაწილი გადასახედი ტერასებითურთ. აქედან, მიწიდან 300 მეტრის სიმაღლეზე, კარგად გამოჩნდება დედაქალაქის პანორამა და მისი მიდამოები. ტერასებზე ასვლა შეიძლება სწრაფმავალი კომფორტიანი ლიფტების საშუალებით.

საბჭოების სასახლის ლიფტებს აქვთ სათადარიგო განის კარები. თუ რომელიმე ლიფტი სართულებს შორის გაჩერდა, შეგიძლიათ სწრაფად და სრულიად უშიშრად მეზობელ ლიფტში გადასხდეთ. ლიფტის კაბინები დაიტევენ 12-15 და 20 კაცს. სწრაფმავალი ლიფტები წამში 5 მეტრი სიჩქარით ივლიან.

საბჭოების სასახლის მაღალ ნაწილში სულ დაიდგმება 52 ზესწრაფი ლიფტი.

განზრახულია ლიფტის კარები და ესკალატორების დეტალები მოპირკეთებულ იქნას გოფრირებული ბრინჯაოთი.

ლენინგრადის ქარხანა „კრასნი მეტალისტმა" დაიწყო ესკალატორის პირველი საცდელი ნიმუშის დამზადება საბჭოების სასახლისათვის.

(საკდესი).

ფოტოგამოფენის გახსნა ტალინში

ტალინი, 23 აგვისტო (საკდესი). დღეს ხელოვნების სახლში გაიხსნა დიდი ფოტოგამოფენა, რომელიც მიძღვნილია საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ესტონეთის სს რესპუბლიკის მიღებისადმი.

გამოფენა ასახავს ესტონეთის სახელმწიფო სათათბიროს სრულუფლებიანი კომისიის გამგზავრებას მოსკოვში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VII სესიის მუშაობას, ესტონეთის, ლატვიის, ლიტვის, ბესარაბიისა და ჩრდილოეთ ბუკოვინის დელეგაციების მიერ ლენინის მავზოლეუმის, ვოლგა-მოსკოვის არხისა და სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დათვალიერებას, სრულუფლებიანი კომისიის საზეიმო შეხვედრას ტალინისა და ესტონეთის სხვა ქალაქების მშრომელებთან.

გამოფენაზე წარმოდგენილია 200-ზე მეტი საუცხოოდ შესრულებული ფოტოსურათი — მოსკოველი ფოტოოსტატების ნ. პეტროვისა და ვ. ტემინის ნამუშევარი.

გამოფენის გახსნას 400-ზე მეტი კაცი დაესწრო. მათ შორის იყვნენ: რესპუბლიკის პრეზიდენტის მოვალეობის აღმსრულებელი—პრემიერ-მინისტრი ამხ. ვარესი, ესტონეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები ამხ. სიარე და რუუსი, ესტონეთის სახელმწიფო სათათბიროს სრულუფლებიანი კომისიის წევრები, ტალინის პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

დამსწრეებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს ფოტოსურათები, ისინი გაცხოველებით საუბრობდნენ იმ ისტორიულ ამბებზე, რომლებსაც ესტონელი ხალხი განიცდის. ამხანაგებმა ვარესმა, სიარემ და რუუსმა გულთბილად გადაუხადეს მადლობა ფოტოოსტატებს მუშაობისათვის, აღნიშნეს გამოფენის დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა და განაცხადეს, რომ იგი საფუძველს ჩაუყრის ესტონეთის სს რესპუბლიკის რევოლუციის მუზეუმის შექმნას.

საქკვებმშენის ტრესტის მუშაობის შესახებ

სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატმა გამოარკვია, რომ საქკვებმშენი არ ასრულებს ჩაის ფაბრიკების, სამტრესტის ღვინის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის პროგრამას. წლის პირველი ნახევრის სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა შესრულებულია სულ 57,4 პროცენტით. ორპირისა და მაღლაკის ჩაის ფაბრიკების ამუშავების მთავრობის მიერ დადგენილი გეგმა ჩაშლილია. არ არის შესრულებული აგრეთვე თვითღირებულების შემცირების დავალებაც. სუსტადაა გამოყენებული სამშენებლო ბაქნებზე არსებული სამშენებლო მექანიზმები.

სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატმა დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელთა გატარება მკვეთრად გააუმჯობესებს ტრესტის მუშაობას. საქკვებმშენისათვის გამოყოფილია სხვადასხვა მოწყობილობა: ექსკავატორები, ცემენტსარეველა, ლენტური ტრანსპორტერები და სხვ. (საკდესი).

უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

ეროვნული

კიევი, 24 აგვისტო (საკდესი). უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი ვინიცის ოლქის ჟულინკის რაიონში ანტისახელმწიფოებრივი ტენდენციის შესახებ. შემოწმებით გამოირკვა, რომ უკრაინის კ. პ. (ბ) ჟულინკის რაიკომის პირველი მდივანი ჩუგუნოვი რაიონის კოლმეურნეობებს აძლევდა დირექტივებს, რომ კოლმეურნეთათვის გამომუშავებული შრომადღეების ანგარიშში, ავანსათ მიეცათ პური იმის მიუხედავად, თუ ფაქტიურად რა რაოდენობის პური იყო ჩაბარებული სახელმწიფო დამამზადებელ პუნქტებში. ამით ჩუგუნოვმა უხეშად დაარღვია საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილება.

ჩუგუნოვის ანტისახელმწიფოებრივი დირექტივის შედეგად, კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობაში 8 აგვისტოსათვის კოლმეურნეებს შრომადღეებზე მიცემული აქვთ 408 ცენტნერი მარცვალი, სახელმწიფო დამამზადებელ პუნქტებში კი ამავე რიცხვისათვის ჩაბარებულია 454 ცენტნერი. ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში 10 აგვისტოსათვის კოლმეურნეებს ავანსად მიცემული აქვთ 55,3 ცენტნერი მარცვალი, სახელმწიფოს კი ჩაჰბარდა 185 ცენტნერი, ე. ი. ავანსად დარიგებულია სახელმწიფო დამამზადებელ პუნქტებში ფაქტიურად ჩაბარებული პურის 29 პროცენტზე მეტი. კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში 10 აგვისტოსათვის სახელმწიფო პუნქტებში ფაქტიურად ჩაბარებული [illegible] 59 ცენტნერი მარცვალი, კოლმეურნეებს კი ამავე რიცხვისათვის ავანსად მიცემული აქვთ 133 ცენტნერი.

ამ ანტისახელმწიფოებრივმა პრაქტიკამ გამოიწვია ჟულინკის რაიონის არაჩვეულებრივი ჩამორჩენა პურის ჩაბარების გეგმის შესრულებაში.

პურის დამზადების დეზორგანიზაციისა და პურის განიავებისათვის, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეთათვის ანტისახელმწიფოებრივი დირექტივების მიცემისათვის, რომლებიც ეწინააღმდეგებიან საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებას „მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების შესახებ", უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა მოხსნილ იქნას ჩუგუნოვი უკრაინის კ. პ. (ბ) ჟულინკის რაიკომის პირველი მდივნის სამუშაოდან, გაირიცხოს პარტიიდან, ხოლო მასალა მისი ანტისახელმწიფოებრივი მოქმედების შესახებ გადაეცეს უკრაინის სსრ პროკურორს მის პასუხისგებაში მისაცემად.

უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა უკრაინის კ. პ. (ბ) ვინიცის ოლქკომს პასუხისგებაში მისცეს დანარჩენი დამნაშავენი, რომლებმაც დაუშვეს პურის დამზადების შესახებ პარტიისა და მთავრობის დადგენილების დარღვევა.

სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატში

სახალხო მოსამართლეები ოხლოპკოვი (ივანოვოს ოლქის კიროვის რაიონი), კოროპოვი (სტალინოს ოლქის ქალაქი ორჯონიკიძე), დავიდოვიჩი (კიროვის რაიონი, მოსკოვი), კალინინის რკინიგზის სახაზო სასამართლოს თავმჯდომარე სოლოვიოვი ლიბერალურად ეკიდებოდნენ სამუშაოს გამცდენებსა და ფრენიებს, ამახინჯებდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულებას. სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატმა ყველა ეს მოსამართლე სამუშაოდან გაიწვია და სამართალში მისცა. ირკუტსკის ოლქში სამუშაოს გამცდენთა და ფრენიათა საქმეებში სასამართლოს პოლიტიკის დამახინჯებისათვის პასუხისგებაში მიცემულია 4 სახალხო მოსამართლე, ომსკის ოლქში სასჯელი დაედო 5 მოსამართლეს.

ο

მოსკოვის საქალაქო სასამართლომ განიხილა იმ სახალხო მოსამართლეთა საქმეები, რომლებსაც ბრალად ედებათ დაუდევარი დამოკიდებულება თავიანთი მოვალეობისადმი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულების დამრღვევთა მიმართ გამოტანილი განაჩენების რეალიზაციის საქმეში. მოსკოვის ოქტომბრის რაიონის მე-3 უბნის სახალხო მოსამართლე ლოპარევა და პროლეტარსკი რაიონის მე-6 უბნის სახალხო მოსამართლე ეპშტეინი სისტემატურად აგვიანებდნენ სამუშაოს გამცდენთა და ფრენიათათვის გამოტანილი განაჩენების შესრულებას 5-დან 25 დღემდე.

მოსკოვის საქალაქო სასამართლომ ლოპარევას მიუსაჯა შრომა-გასწორების სამუშაო 1 წლის ვადით და ხელფასის 15 პროცენტით გამოქვითვა. ეპშტეინს მიესაჯა 6 თვის შრომა-გასწორების სამუშაო და ხელფასის 25 პროცენტის გამოქვითვა.

ლატვიის სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონის დამატება

რიგა, 23 აგვისტო (საკდესი). მინისტრთა კაბინეტმა მიიღო სისხლის სამართლის კანონის დამატებანი.

მე-281 მუხლს დაემატა მეორე ნაწილი, რომელიც ამბობს: „ხულიგნური მოქმედება საწარმოებსა, დაწესებულებებსა და საჯარო ადგილებში, უკეთუ ასეთი მოქმედება თავისი ხასიათით არ ისჯება უფრო მკაცრი სასჯელით, ისჯება ერთი წლით საპატიმროში მოთავსებით".

შემდეგ კანონი შევსებულ იქნა ახალი, 546^1 მუხლით:

„საწარმოში ან დაწესებულებაში ჩადენილი წვრილმანი ქურდობა, უკეთუ იგი თავისი ხასიათით უფრო მკაცრი სასჯელით არ ისჯება კანონით, დამოუკიდებლად ქურდობის ოდენობისა, ისჯება ერთი წლით საპატიმროში მოთავსებით".

სტახანოვური მოძრაობის 5 წლისთავისათვის

მოწინავე სტახანოველმა—მეშახტეებმა წლიური დავალება ვადამდე შეასრულეს

ტყიბული, (საქდესი). ტყიბულის მეშახტეები სტახანოვური მოძრაობის 5 წლისთავს უპასუხებენ შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდით, ახალი ნორმების მნიშვნელოვანი გადამეტებით.

მოწინავეა ლენინის სახელობის შახტი, რომელიც მუშაობის მაღალი მაჩვენებლებისათვის მიმდინარე წლის მეორე კვარტალში დაჯილდოებულია სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშით.

მოწინავე მეშახტეებმა ახლებურად მუშაობით შესანიშნავ შედეგებს მიაღწიეს. 17 აგვისტოს სტახანოველმა მნგრეველმა ამხ. ს. გვენეტაძემ მოანგრია 60 ტონა ქვანახშირი და ორი დღის დავალება შეასრულა. ამავე დღეს სტახანოველმა ამხ. პ. ფანჩულიძემ დღიური ნორმა გაანაღდა 261 პროც. ამხ. დ. ფერაძემ — 246 პროც., ამხ. ნ. ესაიაშვილმა — 261 პროც.

აგვისტოში საუკეთესო შედეგები მოიპოვა მნგრეველმა ამხ. შ. ვარდოსანიძემ, რომელმაც 1-დან — 17 აგვისტომდე დავალება ქვანახშირის მონგრევის დარგში 176 პროც. შეასრულა. მოწინავე სტახანოველმა ამხ. ა. გიორგაძემ აგვისტოს 17 დღის განმავლობაში ერთი თვის ნორმა 125 პროც. შეასრულა.

ცალკე მოწინავე სტახანოველებმა ვადამდე შეასრულეს წლიური გეგმა. მაგალითად, მნგრეველმა ამხ. შ. ვარდოსანიძემ 1 იანვრიდან 18 აგვისტომდე მოანგრია 6 ათას ტონაზე მეტი ქვანახშირი, რაც წლიური გეგმის 108 პროცენტს უდრის. მნგრეველმა ამხ. ა. გიორგაძემ 18 აგვისტოსათვის წლიური გეგმა შეასრულა 118 პროცენტით, ხოლო გამგორებელმა ამხ. დ. ფერაძემ—137 პროცენტით.

მოწინავე მეშახტეები თავის მიღწევებს უძღვნიან სტახანოვური მოძრაობის 5 წლისთავს.

აკარმარა, (საქდესი). ტყვარჩელის ქვანახშირის სტალინის სახელობის მაღაროში გაცხოველებული მზადებაა სტახანოვური მოძრაობის 5 წლისთავისათვის.

იზრდება ქვანახშირის მოპოვებისა და მაღაროების გათხრის მოწინავეთა რიგები. „ტყვარჩელქვანახშირის" ტრესტისადმი ბრძანებით ქვანახშირის ოსტატის სახელწოდება კვლავ 15 მეშახტეს მიენიჭა. პირველი კლასის ოსტატების რიცხვშია მებიგე ამხ. სიდოროვი, რომელიც გამომუშავების ნორმებს 326 პროცენტით ასრულებს. ოსტატის სახელწოდება მიენიჭა საყელავი მანქანის მემანქანეს ამხ. მოროზოვს, რომელსაც 22 სამუშაო დღეში შესრულებული აქვს 62,6 ნორმა, გამთხრელებს ამხ. სერგეევს და დეგტიარევს, რომლებმაც სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებით იკისრეს თითო ცვლაში ორ-ორი ნორმის შესრულება და ვალდებულებანი 14,7 პროც. გადამეტებით გაანაღდეს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებმა მაღაროელები აღაფრთოვანა ახალი საწარმოო გამარჯვებებისათვის.

შახტში არიან მოწინავე სტახანოველები, რომლებმაც წლიური ნორმები ვადამდე შეასრულეს. წლიური დავალება მნიშვნელოვანი გადამეტებით შეასრულეს: მბურღავმა ამხ. კვეკვესკირმა, მებუტეთა ბრიგადირმა ამხ. ხატუნცოვმა (ორივე საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატია), მებუტემ ამხ. შეპოდკომ და სხვ.

შრომის მაღალნაყოფიერებას გვიჩვენებენ ამშენდები. ამხ. კარაკოზიანის ბრიგადა ცვლის ნორმას საშუალოდ 182 პროცენტით ასრულებს, ამხ. მელნიკოვის ბრიგადა — 171 პროცენტით. მოძრაობის უბანზე სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია მუშათა კოლექტივის ყველა წევრი უკლებლივ.

გორელი მეკონსერვეების წარმატებანი

გორი, (საქდესი). 16 და 17 აგვისტოს გორის საკონსერვო ქარხნის ყველა საამქროში ჩატარდა მუშებისა და მუშა ქალების კრებები, რომლებზედაც განიხილეს სტახანოვური მოძრაობის 5 წლისთავისათვის მზადების მიმდინარეობა.

კომპოტის საამქროს სტახანოველმა ამხ. ელენე მახარობლიძემ, რომელიც ნორმას 160 პროცენტით ასრულებს, განაცხადა, რომ დღიურ ნორმებს ერთი ორად შეასრულებს. მურაბის სახარში საამქროს მექვაბემ ამხ. ეკატერინე მუკნიაშვილმა ვალდებულება იკისრა აგვისტოს გეგმა შეასრულოს 200 პროცენტით. ახალ-ახალი ვალდებულებანი იკისრეს სტახანოველებმა ა. კონოვალოვამ, ნ. შუკაკიძემ, ო. ალავერდაშვილმა და სხვ.

საამქროებსა, ბრიგადებსა და ცალკე მუშებს შორის ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება.

ქარხნის კოლექტივი ქუთაისის საკონსერვო ქარხნის კოლექტივს ეჯიბრება წლიურ საწარმოო გეგმის ვადამდე შესრულებაში.

გერმანიის პრესა საბჭოთა კავშირ-გერმანიის თავდაუსხმელობის პაქტის წლისთავის შესახებ

ბერლინი, 23 აგვისტო (საკდესი). გერმანიის პრესა და რადიო დღეს აღნიშნავენ საბჭოთა კავშირ-გერმანიის თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადების წლისთავს. გაზეთებმა მოათავსეს მოწინავე სტატიები, რომლებიც მიძღვნილია ხელშეკრულებისადმი. გაზეთი „ფელკიშერ ბეობახტერი“ სწერს, რომ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ხელშეკრულებამ თავდაუსხმელობის შესახებ აღკვეთა ევროპის კონტინენტზე ომის შემდგომი გავრცელების საშიშროება და გერმანელი და რუსი ხალხი დაიცვა უდიდესი მსხვერპლისაგან. შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ ხელშეკრულებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორც სსრ კავშირისათვის, ისე გერმანიისათვის, მან ორივე სახელმწიფოს შორის საბოლოოდ დაამყარა ისეთი ურთიერთობა, რომელიც შეეფერება, როგორც მათს ისტორიულ ტრადიციებს, ისე პოლიტიკურსა და ეკონომიურ ინტერესებსაც.

„ევროპის აღმოსავლეთში ჩამოვარდა მშვიდობიანობა და კონსოლიდაცია, — ხაზს უსვამს „ფელკიშერ ბეობახტერი“, — რაც შეუძლებელი იქნებოდა სსრ კავშირისა და გერმანიის პაქტის გარეშე“.

გაზეთი „დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგი“, აღნიშნავს რა საბჭოთა კავშირ-გერმანიის თავდაუსხმელობის ხელშეკრულების წლისთავს, სწერს, რომ საბჭოთა კავშირ-გერმანიის პაქტის დადების დროს გერმანიამ გამოსთქვა მტკიცე ნება-სურვილი „ჰპოვოს არა დროებითი გადაჭრა საკითხისა, არამედ შეჰქმნას ურთიერთობის ნამდვილი მტკიცე სისტემა“.

გაზეთი „ბერლინერ ბერზენცაიტუნგი“ აღნიშნავს საბჭოთა კავშირ-გერმანიის პაქტის წლისთავს და აცხადებს: „სამუდამოდ გამორიცხულია გერმანიასა და სსრკ შორის ომის ყოველგვარი შესაძლებლობა“. გაზეთი აღნიშნავს, გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება ორივე ქვეყნის ინტერესებს ეთანხმება.

გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციოზი „დოიჩე დიპლომატიშ-პოლიტიშე კორესპონდენცი“ სტატიაში, რომელიც მიძღვნილია საბჭოთა კავშირ-გერმანიის თავდაუსხმელობის ხელშეკრულების წლისთავისადმი, სწერს: „გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებამ თავდაუსხმელობის შესახებ, რომელიც დადებულ იქნა ერთი წლის წინათ, არამც თუ დაუბრუნა ურთიერთნდობა და უშიშროების გრძნობა ორივე ქვეყანას, რომლებმაც ხელი მოაწერეს მას, არამედ იხსნა ევროპის კონტინენტი უდიდესი უბედურებისაგან, რასაც მას უმზადებდნენ დასავლეთ სახელმწიფოთა დიპლომატები. იმ შედეგებმა, რომლებიც მიღწეულია გერმანია-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობის პირველი წლის განმავლობაში, მთლიანად გაამართლეს ორივე ქვეყნის მოლოდინი“.

დასასრულ ოფიციოზი სწერს: „ამ ამბებით უაღრესად მდიდარი ამ ერთი წლის შედეგები ორივე მხარეს აძლევს მათ მიერ არჩეული გზის სისწორის რწმენას“.

„დინსტ აუს დოიჩლანდი“ გერმანიის მიერ დაპყრობილ ქვეყნებში მმართველობის სტრუქტურის შესახებ

ბერლინი, 23 აგვისტო (საკდესი). ბიულეტენი „დინსტ აუს დოიჩლანდი“ პირველად გამოსთქვამს აზრს ბელგიასა და ჩრდილოეთ საფრანგეთში გერმანიის სამხედრო მმართველობის როლისა და ამოცანების შესახებ. ეს მმართველობა, სწერს ბიულეტენი, წარმოადგენს გერმანიის არმიის შემადგენელ ნაწილს. სამხედრო მმართველობის სათავეში მთავარსარდალი სდგას. ბელგიასა და საფრანგეთს მართავს ერთი მთავარსარდალი, რომლის რეზიდენცია ბრიუსელში არის. მთავარსარდლის ხელმძღვანელობის ქვეშ იმყოფება ორი უმაღლესი ინსტანცია: სამხედრო მმართველობის უფროსი, რომლის მოვალეობაში შედის საერთო მართვის ამოცანები, და შტაბის უფროსი, რომლის მოვალეობაში შედის წმინდა სამხედრო ამოცანები; მთავარსარდალს ექვემდებარებიან აგრეთვე ეგრეთწოდებული მთავარი საველე კომენდატურები, რომლებიც რამდენიმე პროვინციას მართავენ. ეს კომენდატურები შესდგებიან მმართველობის აპარატისა და სამხედრო შტაბისაგან. მთავარი საველე კომენდატურის მმართველობის უფროსი განაგებს ორ განყოფილებას: საერთო მმართველობის განყოფილებას და განყოფილებას, რომელიც ეკონომიურ საკითხებს ხელმძღვანელობს, ეს განყოფილება თავისი მხრივ რამდენიმე ქვეჯგუფს შეიცავს. ქვეჯგუფები განაგებენ, მაგალითად, მუშახელის გამოყენების, დაფინანსების, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობისა და სხვა საკითხებს. მთავარ საველე კომენდატურას ექვემდებარებიან საველე კომენდანტები, რომლებიც, როგორც წესი, განაგებენ მხოლოდ ერთ პროვინციას. საველე კომენდანტებს ემორჩილებიან ადგილობრივი კომენდანტები, რომლებიც სამხედრო და სამოქალაქო თანამშრომლების დახმარებით ანხორციელებენ სამხედრო ამოცანებსა და მართვის ამოცანებს. ისეთს დიდ ქალაქების, როგორიცაა, მაგალითად, ბრიუსელი, ანტვერპენი, ლიეჟი, ოსტენდე და სხვები, მმართველობას ანხორციელებენ სპეციალურად დანიშნული გერმანიის კომისრები და ამ ქალაქებს ჰყავთ სპეციალური სამხედრო მოხელენი, რომლებიც უშუალოდ მთავარ საველე კომენდანტს ექვემდებარებიან.

ლტოლვილთა მდგომარეობა საფრანგეთში

ბერლინი, 23 აგვისტო (საკდესი). გაზეთი „ბერლინერ ბერზენცაიტუნგი“ სწერს, რომ საფრანგეთის ოკუპირებულ ოლქებში საფრანგეთის არაოკუპირებული რაიონებიდან დაბრუნდა 800 ათასი ლტოლვილი. მას შემდეგ, რაც იმ მატარებლების რაოდენობა, რომლებითაც ლტოლვილნი გადაჰყავდათ, მნიშვნელოვნად გადიდდა, უნდა ვიფიქროთ, რომ საფრანგეთის არაოკუპირებულ ტერიტორიაზე ამჟამად მყოფი ყველა ლტოლვილი უკვე შემოდგომის დამლევს შესძლებს დაბრუნდეს თავის საცხოვრებელ ადგილზე. 10 აგვისტომდე დემობილიზებული იყო 1 მილიონი ფრანგი ჯარისკაცი, რომლებიც ამჟამად მუშაობენ სოფლის მეურნეობაში. 500 ათასი დემობილიზებული ჯარისკაცი, რომლებმაც ვერ შესძლეს დაბრუნებულიყვნენ საფრანგეთის ოკუპირებულ ოლქებში, სპეციალურ ბანაკებში იმყოფება. ეს დემობილიზებული ჯარისკაცნი დაბანდებული იქნებიან სასოფლო - სამეურნეო და აღდგენითს სამუშაოზე.

ბოდუენის სიტყვა

ლიონი, 23 აგვისტო (საკდესი). ჰავასის სააგენტო გადმოგვცემს, რომ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბოდუენმა რადიოთი წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიც განაცხადა: „პასუხად ჩერჩილის საყვედურისა, რომ საფრანგეთმა ბრძოლა შესწყვიტა, უნდა აღინიშნოს, რომ ომის გაგრძელება შეუძლებელი იყო“. ბოდუენმა სთქვა, რომ თუ ამჟამად, ჩერჩილის სიტყვით, ორი მილიონი ინგლისელი ჯარისკაცი მზად არის ბრძოლისათვის, მაშინ, ივნისში ფრანგებთან ერთად იბრძოდა მხოლოდ 50.000 ინგლისელი, და ინგლისის ავიაციის მხოლოდ ერთი მეათედი ხანდახან გამოდიოდა ბრძოლის ვრცელ ველებზე. „საფრანგეთი, — განაცხადა მან, — ინგლისისაგან არ მოელის ხსნას“.

შემდეგ ბოდუენი გადავიდა საზღვაო ბლოკადის საკითხზე. გერმანია, სთქვა მან, დაგვპირდა, სურსათ-სანოვაგე, რომელიც კოლონიებიდან მოდის, საფრანგეთის რეზერვი იქნებაო. ამ დაპირების შედეგად 2 აგვისტოს ჩვენ გარკვეული წინადადებით მივმართეთ ლონდონს. პასუხი უარყოფითი იყო. ეს უარი, შესაძლოა, უფრო მეტი მტრული აქტი იყოს, ვიდრე ბედუკუღმართი თავდასხმა მერს ელ კებირზე (ალჟირი). მთავრობამ ყოველივე უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ ქვეყანა იხსნას შიმშილის საშინელებისაგან.

ანდერსონის განცხადება ინგლისში უცხოელთა ინტერნირების შესახებ

ლონდონი, 23 აგვისტო (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ინგლისის შინაგან საქმეთა და შინაგანი უშიშროების მინისტრი ანდერსონი, ინგლისში ინტერნირებულ უცხოელთა მდგომარეობის შესახებ თემთა პალატაში შეტანილ შეკითხვაზე პასუხის გაცემისას იძულებული იყო აღეარებინა, რომ ზოგიერთი პირი უდანაშაულოდ დაზარალდა მასობრივი ინტერნირების გამო. რადგან მტრის შემოჭრის საფრთხე შეიქმნა გადაწყვეტილებანი ინტერნირების შესახებ უეცრად იქნა მიღებულიო. ანდერსონმა განაცხადა, რომ ინტერნირებულ იტალიელთა განთავისუფლების საკითხის გადასაწყვეტად იქმნება კომიტეტი ინგლისის ყოფილი რომაელი ელჩის პერსი ლორენის თავმჯდომარეობით.

ამჟამად, — სთქვა ანდერსონმა ინგლისში ინტერნირებულია 15.800 მამაკაცი და 3.800 ქალი. „ა“ კატეგორიის 2.358 ინტერნირებული უცხოელი და „ბ“ და „ც“ კატეგორიის 4.206 კაცი ოკეანის გაღმა გაიგზავნა. მთავრობას განზრახვა არა აქვს ახლა საზღვარგარეთ გაგზავნოს ინტერნირებული უცხოელები, იმათ გარდა, ვინც წასვლის სურვილს გამოსთქვამს.

ტროცკის სიკვდილი

ლონდონი, 22 აგვისტო (საკდესი). დღეს ლონდონის რადიომ გადმოსცა: მექსიკის საავადმყოფოში მოკვდა ტროცკი თავისქალის ჩამტვრევისაგან, რომელიც მიიღო ერთი მისი მახლობელი პირის თავდასხმის დროს.

მკითხველის დასახმარებლად

„აქლემოსანთა კორპუსი“

აფრიკის საომარი მოქმედების ასპარეზი დიდი უდაბური სივრცეებით ხასიათდება. წყლისა და მცენარეულობის თითქმის სრული უქონლობა შეუძლებელს ხდის ადამიანის ცხოვრებას უდაბნოში. ცხოვრება შესაძლებელია მხოლოდ ოაზისებში, წყლის წყაროებთან, რომლებსაც იშვიათად თუ შეხვდება კაცი. უდაბნოს ზედაპირი დაფარულია ფხვიერი ქვიშით. იგი ქარის გავლენით იცვლის ადგილს და ჰქმნის ქვიშის გორაკებს — „ბარხანებს“, რომლებიც 20 მეტრ სიმაღლეს აღწევენ. ფხვიერი ქვიშით მიმოსვლა უაღრესად გაძნელებულია, ადამიანები და ცხოველები ეფლობიან ამ ქვიშაში. წყლის შოვნა მხოლოდ ჭებში შეიძლება, რომელთა სიღრმე 60—100 მეტრს აღწევს, ამასთან ჭებში წყალი ძალიან ცოტაა, იგი მეტად მლაშეა და ხშირად არ ვარგა არც სასმელად, არც მოტორებისათვის.

პაპანაქების, უწყლობისა და ფხვიერი ქვიშის პირობებში თანამედროვე სამხედრო ტექნიკა, — ტანკები, ჯავშნიანი ავტომობილები, ავტოტრანსპორტი — დიდ სიძნელეებს ხვდება მაშინ, როცა აქლემი შეიძლება წარმატებით იქნას გამოყენებული დიდი გადასვლისათვის და საბრძოლო ამოცანების შესასრულებლად. აქლემს შეუძლია ატაროს მხედარი, ზიდოს ოთხი დღის მარაგი წყალი, სურსათი და მხედრის პირადი ნივთები, 8 დღის მარაგი მარცვალი თავისთვის და 210 ვაზნა. ტვირთის საერთო წონა მხედართან ერთად 160 კილოგრამს შეადგენს. აქლემს შეუძლია უბრალო საკვებით გასძლოს და სვას მწარე-მლაშე წყალი, რომელსაც ძალიან ხშირად შეხვდებით უდაბნოში, ამოთხრილ ჭებში.

აქლემოსანთა ნაწილები მოიპოვებიან საფრანგეთის, ინგლისისა და იტალიის კოლონიურ არმიებში. იტალია, რომელიც აბისინიასთან ომის დროს დიდი რაოდენობით იყენებდა თანამედროვე სამხედრო ტექნიკას, იძულებული იყო ზოგიერთი მიმართულებით აქლემოსანთა ნაწილებიც გამოეყენებინა. ინგლისს თავის კოლონიებში ჰყავს აქლემოსანთა ნაწილები, რომლებსაც „აქლემოსანთა კორპუსები“ ეწოდება. აქლემოსანთა კორპუსები არის ინგლის-ეგვიპტის სუდანში. აქლემოსანთა ერთი კორპუსი იმყოფებოდა ბრიტანეთის სომალში.

ინგლისის აქლემოსანთა კორპუსი სულ შესდგება რვა ასეულისაგან, აქედან ერთი ასეული დაიარება აქლემებით, ერთი—ჯორებითა და ერთიც — ავტოტრანსპორტით. აქლემოსანთა კორპუსის რიცხვობრივი შემადგენლობა, საავტოტრანსპორტო ასეულის გამოკლებით, დაახლოებით 900 კაცია. კორპუსი, გარდა შაშხანებისა, შეიარაღებულია 14 ტყვიამფრქვევით. კორპუსს თავისი არტილერია არა აქვს. აქლემოსანთა კორპუსის საბრძოლო გამოყენების ხასიათი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მოწინააღმდეგესთან უხდებათ ბრძოლა. ომში იტალიასთან, რომელიც დიდი მასშტაბით იყენებს თანამედროვე სამხედრო ტექნიკას, აქლემოსანთა კორპუსები შეიძლება გამოყენებულ იქნან მხოლოდ დაზვერვისათვის და მოძრავი თავდაცვისათვის. ავიაციასთან შეთანხმებულად და საომარი მოქმედების საერთო გეგმის შესაბამისად, აქლემოსანთა კორპუსები შეიძლება გამოყენებულ იქნან მოწინააღმდეგის ზურგში რეიდებისათვის თუ სხვადასხვა ამოცანის შესასრულებლად, როგორიცაა მოწინააღმდეგის დაზვერვა, მისი ცოცხალი ძალის, მატერიალური ნაწილის, სურსათისა და წყლის ბაზების მოსპობა, აეროდრომებისა და კავშირგაბმულობის კვანძების დანგრევა, ოაზისების ხელში ჩაგდება, მოწინააღმდეგის ზურგში აჯანყების მოწყობა.

აქლემოსანთა კორპუსს, რომელიც ბრიტანეთის სომალში მოქმედებდა, თავისი უმნიშვნელო სასროლო ძლიერების დროს, რა თქმა უნდა არ შეეძლო სერიოზული წინააღმდეგობა გაეწია შემტევ იტალიელთა კოლონებისათვის. მას შეეძლო მხოლოდ ერთი ამოცანის შესრულება — მოძრავი თავდაცვის მეთოდით შეენელებინა იტალიელთა კოლონების წინსვლა და ამით შესაძლებლობა მიეცა ინგლისელებისათვის წარმატებით დაემთავრებინათ ბერბერის ევაკუაცია (დიუნკერკის მაგალითისამებრ), რის შემდეგაც მას სხვა არაფერი რჩებოდა, თუ არა იარაღის დაყრა.

პოლკოვნიკი ნ. ანდრეევი

საერთაშორისო ჯაშუშის სიკვდილი

ტელეგრაფმა მოიტანა ცნობა ტროცკის სიკვდილის შესახებ. ამერიკული გაზეთების ცნობით, ტროცკიზე, რომელიც უკანასკნელ წლებში მექსიკაში ცხოვრობდა, თავდასხმა მოახდინეს. თავდამსხმელი—ჟაკ მორტან ვანდენდრაიში—ტროცკის ერთერთი უახლოესი ადამიანი და მიმდევარია.

საფლავში ჩავიდა ადამიანი, რომლის სახელს ზიზღით და წყევაკრულვით ახსენებენ მშრომელები მთელს მსოფლიოში, ადამიანი, რომელიც მრავალი წლის მანძილზე იბრძოდა მუშათა კლასის საქმისა და მისი ავანგარდის—ბოლშევიკური პარტიის წინააღმდეგ. კაპიტალისტური ქვეყნების გაბატონებულმა კლასებმა დაჰკარგეს თავიანთი ერთგული მსახური. უცხოეთის დაზვერვებს მოაკლდათ დიდი ხნის, ნაცადი აგენტი, მკვლელთა ორგანიზატორი, რომელიც არ თაკილობდა არავითარ საშუალებებს თავისი კონტრრევოლუციური მიზნების მისაღწევად.

ტროცკიმ განვლო გამცემლობისა და ღალატის, პოლიტიკური ორპირობისა და თვალთმაქცობის გრძელი გზა. ლენინმა ჯერ კიდევ 1911 წელს ტყვილა კი არ მონათლა ტროცკი „იუდუშკას“ სახელწოდებით. და ეს დამსახურებული სახელწოდება სამუდამოდ შერჩა ტროცკის.

ტროცკიმ თავისი პოლიტიკური საქმიანობა დაიწყო როგორც მენშევიკმა—ანტირევოლუციონერმა. უკვე 1903 წელს, რსდმპ მეორე ყრილობაზე იგი გაშმაგებით გამოდის ლენინის წინააღმდეგ, იცავს და მხარს უჭერს რა მარტოვისა და სხვა ანტირევოლუციური მენშევიკური ლიდერების შეხედულებებს. მალე, რუსეთ-იაპონიის ომის დასაწყისს, ტროცკი კიდევ უფრო აშკარად გვიჩვენებს მოღალატისა და ანტირევოლუციონერის სახეს. იგი დაეშვა პირწავარდნილი ობორონცობის, ესე იგი „სამშობლოს“, მეფის, მემამულეებისა და კაპიტალისტების დაცვის პოზიციებზე.

1905 წლის რევოლუციას ტროცკი შეხვდა „პერმანენტული“ რევოლუციის ყბადაღებული თეორიით. ეს იყო პროლეტარიატის განიარაღების, მისი ძალების დემობილიზაციის თეორია. 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ ტროცკი მხარს უჭერს მენშევიკ-ლიკვიდატორებს. ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი მაშინ ასე სწერდა ტროცკის შესახებ:

„ტროცკი ისე იქცევა, როგორც უსაზიზღრესი კარიერისტი და ფრაქციონერი... ლაყბობს პარტიის შესახებ, ხოლო ყველა დანარჩენ ფრაქციონერზე უფრო ცუდად იქცევა“.

როგორც ვიცით, ტროცკი მოგვევლინა ყველა იმ ჯგუფთა და მიმდინარეობათა მენშევიკური აგვისტოს ბლოკის ორგანიზატორად, რომელნიც გამოდიოდნენ ლენინის წინააღმდეგ.

1914 წლის აგვისტოში დაწყებულ იმპერიალისტურ ომს ტროცკი, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, შეხვდა ბარიკადების იქითა მხარეზე —იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტის დამცველთა ბანაკში. პროლეტარიატის მიმართ თავის ღალატს იგი ჰფარავდა ომის წინააღმდეგ ბრძოლის „მემარცხენე“ ფრაზებით, ფრაზებით, რომლებიც გათვალისწინებული იყო მუშათა კლასის მოსატყუებლად. ომისა და სოციალიზმის ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხში ტროცკი გამოდიოდა ლენინის წინააღმდეგ, ბოლშევიკური პარტიის წინააღმდეგ.

ბოლშევიკების უფროდაუფრო მზარდი გავლენა მუშათა კლასზე, ჯარისკაცთა მასებზე თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ, ლენინის ლოზუნგების უდიდესი პოპულარობა ხალხის მასებში მენშევიკმა ტროცკიმ თავისებურათ შეაფასა. იგი ჩვენს პარტიაში შევიდა 1917 წლის ივლისში თავის თანამოაზრე ჯგუფთან ერთად, განაცხადა რა, რომ ის ბოლომდე „განიარაღდა“.

მაგრამ შემდგომმა მოვლენებმა გვიჩვენეს, რომ მენშევიკი ტროცკი არ განიარაღებულა, ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია ბრძოლა ლენინის წინააღმდეგ და ჩვენს პარტიაში შევიდა იმისათვის, რომ შიგნიდან აეფეთქებინა იგი.

ოქტომბრის დიდი რევოლუციიდან უკვე რამდენიმე თვის შემდეგ, 1918 წლის გაზაფხულზე, ტროცკი ეგრეთწოდებულ „მემარცხენე“ კომუნისტთა და მემარცხენე ესერთა ჯგუფთან ერთად აწყობს მუხანათურ შეთქმულებას ლენინის წინააღმდეგ, ცდილობს დააპატიმროს და ფიზიკურად მოსპოს პროლეტარიატის ბელადები ლენინი, სტალინი და სვერდლოვი. როგორც ყოველთვის, თვითონ ტროცკი — პროვოკატორი, მკვლელთა ორგანიზატორი, ინტრიგანი და ავანტიურისტი — ჩრდილში რჩება. მისი ხელმძღვანელი როლი ამ ბოროტმოქმედების მომზადებაში, რომელიც, საბედნიეროდ, ვერ განხორციელდა, სავსებით აშკარავდება მხოლოდ ორი ათეული წლის შემდეგ, ანტისაბჭოთა „მემარჯვენე - ტროცკისტული ბლოკის“ პროცესზე 1938 წლის მარტში. მხოლოდ ოცი წლის შემდეგ საბოლოოდ გახსნილ იქნა ტროცკის და მისი დამქაშების დანაშაულობათა ბინძური კვანძი.

სამოქალაქო ომის წლებში, როდესაც საბჭოების ქვეყანა იგერიებდა თეთრგვარდიელთა და ინტერვენტთა მრავალრიცხოვანი ურდოების თავდასხმას, ტროცკი თავისი გამცემლური მოქმედებით და მავნებლური ბრძანებებით ყოველნაირად ასუსტებდა წითელი არმიის წინააღმდეგობის ძალას, რის გამოც ლენინმა აუკრძალა მას აღმოსავლეთის და სამხრეთის ფრონტებზე მისვლა. საყოველთაოდ ცნობილია ის ფაქტი, რომ ტროცკი, ძველი ბოლშევიკური კადრებისადმი თავისი მტრული დამოკიდებულების გამო, ცდილობდა დაეხვრიტა მთელი რიგი, მისთვის არასასურველი პასუხისმგებელი კომუნისტი-ფრონტელები. მოქმედებდა რა ამით მტრის სასარგებლოდ.

ანტისაბჭოთა „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ იმავე პროცესზე მთელი მსოფლიოს წინაშე გამოაშკარავებულ იქნა ტროცკის გამცემლური, მოღალატური გზა: ამ პროცესზე ბრალდებულებმა, ტროცკის უახლოესმა თანამებრძოლებმა, აღიარეს, რომ ისინი და მათთან ერთად მათი შეფი ტროცკიც **უკვე 1921 წლიდან უცხოეთის დაზვერვათა აგენტები იყვნენ, საერთაშორისო ჯაშუშები იყვნენ.** ისინი ტროცკის მეთაურობით გულმოდგინედ ემსახურებოდნენ ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, იაპონიის დაზვერვებსა და გენერალურ შტაბებს.

როდესაც 1929 წელს საბჭოთა მთავრობამ ჩვენი სამშობლოს ფარგლებიდან გააძევა კონტრრევოლუციონერი, მოღალატე ტროცკი, — ევროპისა და ამერიკის კაპიტალისტურმა წრეებმა ის გულში ჩაიკრეს. ეს შემთხვევითი როდი იყო. ეს კანონზომიერი იყო. ვინაიდან ტროცკი უკვე დიდიხნის წინათ გადავიდა მუშათა კლასის ექსპლოატატორთა სამსახურში.

ტროცკი თავის საკუთარ ბადეში გაიხლართა, დაეშვა რა ადამიანის დაცემის უკიდურეს საზღვრამდე. იგი მისივე მომხრეებმა მოჰკლეს. მას ბოლო მოუღეს სწორედ იმ ტერორისტებმა, რომლებსაც იგი ასწავლიდა მიპარვით მკვლელობას, გამცემლობასა და ბოროტმოქმედებას მუშათა კლასის წინააღმდეგ, საბჭოების ქვეყნის წინააღმდეგ. ტროცკი, რომელმაც მოაწყო კიროვის, კუიბიშევის, მ. გორკის მუხანათურად მოკვლა, გახდა თავისივე საკუთარი ინტრიგების, გამცემლობის, ღალატის, ბოროტმოქმედების მსხვერპლი.

ასე სამარცხვინოდ დაამთავრა თავისი სიცოცხლე ამ საზიზღარმა ადამიანმა, რომელიც საფლავში ჩავიდა საერთაშორისო ჯაშუშისა და მკვლელის დაღით შუბლზე.

(„პრავდა“, 24 აგვისტო).

ორგანიზაციული კომიტეტი იაპონიაში „ახალი პოლიტიკური სტრუქტურის“ შესაქმნელად

ტოკიო, 23 აგვისტო (საკდესი). როგორც დომეი ცუსინის სააგენტო იუწყება, პრემიერ - მინისტრმა კონოემ შეარჩია 26 კაცი „ახალი პოლიტიკური სტრუქტურის“ შემქნელი ორგანიზაციული კომიტეტის წევრად. კომიტეტის შემადგენლობაში შედიან: პარლამენტის ზედა პალატის ხუთი წევრი და ქვედა პალატის 7 წევრი, მეცნიერთა წრეების ერთი წარმომადგენელი და ფინანსისტთა წრეების 2 წარმომადგენელი, დიპლომატიური წრეების ერთი წარმომადგენელი (სირატორი, ყოფილი რომაელი ელჩი), მემარჯვენე ორგანიზაციების 5 წარმომადგენელი, მათ შორის „ახალი აღმოსავლეთი აზიის მშენებლობის ლიგის“ თავმჯდომარე ადმირალი სუეცუგუ ნობუმასა, იაპონიის ახალგაზრდობის პარტიის „სინიპონ სეინენტოს“ ლიდერი პოლკოვნიკი ჰასიმოტო კინგორო, საზოგადოება „შავი გველეშაპის“ გენერალური მდივანი კუძუუ, პარტია „ტოხოკაი—ნაკანოს“ ყოფილი თავმჯდომარე სეიგო, ორგანიზაცია „კოკუხონსის“ პრეზიდენტი ოტა კოიო (წინათ ამ ორგანიზაციას მეთაურობდა ბარონი ჰირანუმა), პრესის 4 წარმომადგენელი (დომეი ცუსინის სააგენტოს პრეზიდენტი ფურუნო ინოსუკე და ტოკიოს სამი წამყვანი გაზეთის — „ასახის“, „ნიცი-ნიცის“ და „იომიურის“ ხელმძღვანელები), და ტოკიოს მუნიციპალიტეტის ერთი წარმომადგენელი.

27 აგვისტოს კაბინეტის სხდომაზე ფორმალურად იქნება დამტკიცებული ორგანიზაციული კომიტეტის შემადგენლობა, აგრეთვე პროექტი პრემიერ კონოეს განცხადებისა „ახალი პოლიტიკური სტრუქტურის“ შექმნის შესახებ.

ორგანიზაციული კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში კაბინეტის 12 წევრი შედის, პირველად შეიკრიბება 28 აგვისტოს პრემიერ-მინისტრ კონოეს თავმჯდომარეობით.

ა. მირცხულავა

საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი

ხელმძღვანელი კომკავშირული ორგანოების ანგარიშგება და არჩევნები

საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით მიმდინარე წლის 1-ლი სექტემბრიდან ტარდება ხელმძღვანელი კომკავშირული ორგანოების არჩევნები ყველა პირველადს, რაიონულ, საქალაქო, საოლქო, საოკრუგო, სამხარეო და რესპუბლიკურ კომკავშირულ ორგანიზაციაში.

საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმმა ზუსტად განსაზღვრა საქართველოს კომკავშირულ ორგანიზაციებში არჩევნების ჩატარების ვადები და რიგი.

პირველადს კომკავშირულ ორგანიზაციებში კომიტეტებისა და მდივნების (იქ, სადაც კომიტეტები არ არის) ანგარიშგება და არჩევნები უნდა ჩატარდეს 1-დან 13 სექტემბრამდე, რაიონული და საქალაქო კონფერენციები 13-დან 20 სექტემბრამდე, კომკავშირის საოლქო კონფერენციები 20-დან 25 სექტემბრამდე, ხოლო საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის XV ყრილობის მოწვევა დანიშნულია მიმდინარე წლის 28 სექტემბრისათვის.

ეს უაღრესად მოკლე და მტკიცე ვადები, რომლებიც დაწესებულია არჩევნებისათვის, გვავალებს, ჩვენ, კომკავშირის ხელმძღვანელ მუშაკებს, გამოვიჩინოთ ორგანიზებულობის მაქსიმუმი და ავიყვანოთ ამ საქმის მომზადება მაღალ პოლიტიკურ დონემდე.

ხელმძღვანელი კომკავშირული ორგანოების არჩევნები თვითეული კომკავშირული ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობის სერიოზული და ღრმა შემოწმებაა.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს კომკავშირულმა ორგანიზაციებმა საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, მთელი საბჭოთა კავშირის კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად, საკმაოდ დიდი მუშაობა ჩაატარეს. საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად მათ უშუალოდ მოჰკიდეს ხელი თავისი საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, დაწესებულებების, სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების სამეურნეო საკითხების მოგვარებას. ისინი სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და სტახანოვური მოძრაობის გაფართოების ინიციატორები არიან.

საქართველოს კომკავშირი ჩვენი ისეთი მსხვილი სამრეწველო ობიექტების შეფია, როგორიცაა მაგალითად, საქნავთი, კოლხიდმშენი.

ამ დღეებში საქ. ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ გაგზავნილ იქნან კომკავშირელები ტყიბულქვანახშირის ახალი მაღაროს მშენებლობის სწრაფად დამთავრებისათვის სამუშაოდ.

საქართველოს კომკავშირულმა ორგანიზაციებმა გადასწყვიტეს ყოველ მიზეზს გარეშე უახლოეს დროში დაამთავრონ ახალგაზრდობის ძალებით ამ მაღაროს მშენებლობა და უზრუნველჰყონ მისი საექსპლოატაციოდ გადაცემა.

ჩვენი კოლმეურნე ახალგაზრდობა, შრომითი ენტუზიაზმით აღფრთოვანებული, ნამდვილ სასწაულებს ახდენს სოციალისტურ მინდვრებზე. საილუსტრაციოდ საკმარისია აღინიშნოს, რომ მიმდინარე წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეა 1.000-ზე მეტი კომკავშირელი და კავშირგარეშე ახალგაზრდა.

საქართველოს კომკავშირი მნიშვნელოვნად გაიზარდა და განმტკიცდა. თუ წარსული არჩევნების დროისათვის კომკავშირის ორგანიზაციებში 160.000 წევრი ითვლებოდა, ამჟამად მათი რიცხვი 270.000-მდე გაიზარდა. ეს ზრდა უეჭველად სერიოზულია. ზრდა ხდებოდა ჩვენი ფაბრიკა-ქარხნების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისა, ჩვენი საწარმოებისა და სკოლების ნამდვილად მოწინავე, სოციალისტური სამშობლოსადმი ერთგულ ახალგაზრდა მუშაკთა ხარჯზე.

საანგარიშო პერიოდში კომკავშირში 100.000-ზე მეტი ახალგაზრდის მიღება გვავალებს უფრო სერიოზულად და ღრმად მოვკიდოთ ხელი ორგანიზაციული მუშაობის საკითხებს. არჩევნები უნდა გადავაქციოთ მთელი ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდის სკოლად.

კომკავშირში გაიზარდა და დაწინაურდა ახალი, ჩვენი პარტიისა და დიდი **სტალინისადმი** უსაზღვროდ ერთგული, სიცოცხლითა და ენერგიით აღსავსე ახალგაზრდა აქტივი. მხოლოდ საანგარიშო პერიოდში ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა სამეურნეო სამუშაოზე დაწინაურებულია 3.800-ზე მეტი კომკავშირელი.

ამჟამად ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ უფრო ფართოდ გავწიოთ არჩევნების პერიოდში ჩვენ მიერ ჩატარებული მუშაობის გამოცდილების პოპულარიზაცია. საჭიროა გავაცნოთ ფართო მასებს ის ახალგაზრდობა, რომელმაც თავი გამოიჩინა საქმით. ეს ხელს შეგვიწყობს იმაში, რომ შევქმნათ ახალი ენტუზიაზმი კომკავშირელთა შორის, ახალგაზრდობაში.

ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის პერიოდში კიდევ უკეთესად მოვაწყოთ ჩვენი მუშაობა იმ ისტორიული ამოცანების განხორციელებისათვის, რომლებიც დგანან ჩვენი სოციალისტური სამშობლოს წინაშე.

„ხელმძღვანელი კომკავშირული ორგანოების მომავალი არჩევნები, — ნათქვამია საქ. ალკკ ც. კ-ის დადგენილებაში, — უნდა ჩატარდეს კომკავშირისა და მთელი ახალგაზრდობის მობილიზაციური მზადყოფნის შემდგომი ამაღლების, კომკავშირული ორგანიზაციების მიერ საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმების, სახელმწიფო და სამეურნეო მშენებლობაში უფრო აქტიური მონაწილეობისათვის, შრომის ნაყოფიერების შემდგომი ამაღლებისათვის და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის საბრძოლველად, ბოლშევიკური სიფხიზლის ამაღლებისათვის კომკავშირელთა მობილიზაციის ნიშნით“.

არჩევნების პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კომკავშირის ამოცანებს ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საქმეში.

კომკავშირი ჩვენი სამხედრო-საზღვაო ფლოტის შეფია და კომკავშირის ეს საპატიო მუშაობა წარმატებით ხორციელდება.

ცხადია, ყოველივე ეს ჩვენ სრულებითაც ვერ დაგვაკმაყოფილებს. კომკავშირის წინაშე დგას გადაუდებელი ამოცანა — გადაჭრით გავაუმჯობესოთ ჩვენი ახალგაზრდობის სამხედრო-თავდაცვითიუნარიანობა და მობილიზაციური მზადყოფნა.

საკ. ალკკ პროგრამაში ნათქვამია, რომ:

„საკ. ალკკ ეწევა ახალგაზრდობაში სამხედრო ცოდნის პროპაგანდას, აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივი თავდაცვითი ორგანიზაციების მუშაობაში და ცდილობს იმის მიღწევას, რომ თვითეული კომკავშირელი ჯერ კიდევ არმიის და ფლოტის რიგებში შესვლამდე დაეუფლოს მარჯვე სროლის ხელოვნებას, შეისწავლოს ერთერთი სამხედრო სპეციალობა“.

ჩვენ უნდა მივცეთ ჩვენს მშობლიურ წითელ არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტს საუკეთესოდ მომზადებული ახალგაზრდობა.

სერიოზული საკითხი, რომელსაც ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ არჩევნების მომზადებისა და ჩატარების პერიოდში, — ეს არის ახალგაზრდობის სამეურნეო აქტივობის შემდგომი ამაღლება და შრომითი დისციპლინის განმტკიცება.

თითქმის ორი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „რვასაათიან სამუშაო დღეზე და შვიდდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლის შესახებ და საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან მუშათა და მოსამსახურეთა თვითნებურად წასვლის აკრძალვის შესახებ“.

ეჭვს გარეშეა, რომ ამ ისტორიული ბრძანებულების შემდეგ ჩვენმა ახალგაზრდობამ უკეთესად იწყო მუშაობა საწარმოებსა და კოლმეურნეობებში, მაგრამ ბევრ ადგილას კომკავშირის კომიტეტები მხოლოდ პარადულობით დაკმაყოფილდნენ, და ეს საპატიო სამუშაო ხმაურობაში ჩაახრჩეს.

თბილისის მაუდის ფაბრიკის კომკავშირის კომიტეტი მხოლოდ იმით დაკმაყოფილდა, რომ სახელდახელო მიტინგზე გააცნო ახალგაზრდობას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულება. ასეთმა უდარდელობამ ის გამოიწვია, რომ ფაბრიკაში შრომის კანონმდებლობის დარღვევისათვის 4 კომკავშირელს სასამართლო ორგანოების დადგენილებით მისაჯა იძულებითი მუშაობა ოთხი თვით. კომკავშირელმა დარახველიძემ თვითნებურად მიატოვა ფაბრიკაში მუშაობა, მაგრამ კომკავშირის კომიტეტმა ლმობიერება გამოიჩინა წარმოების დეზორგანიზატორისადმი, საჭიროდაც არ ჩასთვალა ამ საკითხის კომკავშირულ კრებაზე განხილვა და დამნაშავის სასტიკ კომკავშირულ პასუხისგებაში მიცემა.

შრომის დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ მაინცდამაინც გაბედულად ვერ იბრძვის კომკავშირის სტალინის რაიონული კომიტეტიც. სასამართლო ორგანოებმა რაიკომს გაუგზავნეს 9 კომკავშირელის საქმე. სამუშაოზე გამოუცხადებლობისა და დაგვიანების გამო ზოგიერთ მათგანს მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა, ზოგს კი იძულებითი სამუშაო.

რაიკომის მდივანმა ამხ. ჩუბინიძემ ეს მასალები მაგიდის უჯრაში ჩაკეტა და არაფრით არ გამოეხმაურა მათ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების შეუსრულებლობის ფაქტები აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაშიც არის. 4 კომკავშირელი შვებულებიდან სამუშაოზე 5 დღის დაგვიანებით დაბრუნდა.

არ შეიძლება მოვითმინოთ ჩვენს რიგებში შრომის დისციპლინის დამრღვევნი, დეზორგანიზატორები და ფრენიები. ის, ვინც არცხვენს კომკავშირელის წმინდა სახელწოდებას, ვინც არღვევს ჩვენი საწარმოების დისციპლინას და ხელს უშლის მათ მუშაობაში, გარიცხულ უნდა იქნას კომკავშირის რიგებიდან.

ბრძოლა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ა. წ. 26 ივნისის ბრძანებულების განუხრელად გატარებისათვის კომკავშირული ორგანიზაციის უპირველესი და უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

სოფლის კომკავშირული ორგანიზაციები დაუღალავად უნდა იბრძოდნენ მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისათვის.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილების შესრულებაში კოლმეურნე ახალგაზრდობამ უნდა გვიჩვენოს იმის საუკეთესო მაგალითები, თუ როგორ უნდა ბრძოლა სახელმწიფო ინტერესებისათვის, როგორ უნდა მონაწილეობა მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისათვის მუშაობაში.

ათიოდე დღე-ღა დარჩა ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე. ამიტომ არჩევნებისათვის მზადება მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს ახალი სასწავლო წლის წარმატებით შეხვედრას.

„საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტი თვითეული კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობის შედეგებს შეაფასებს უწინარეს-ყოვლისა იმის მიხედვით, თუ როგორ არის დაყენებული სწავლა და დისციპლინა სკოლაში“.

კომკავშირულმა ორგანიზაციებმა არ უნდა დაივიწყონ საკ. ალკკ ც. კ-ის X პლენუმის ეს გაფრთხილება.

ხელმძღვანელი კომკავშირული ორგანოების არჩევნებმა შედეგად უნდა მოგვცეს კომკავშირულ აქტივთან მუშაობის ნამდვილი გაუმჯობესება, ახალი აქტივის გამოვლინება და მისი გაბედულად დაწინაურება, რაიონულ და საქალაქო კომიტეტებთან კომისიებისა და შტატგარეშე ინსტრუქტორთა ჯგუფების მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესება.

საჭიროა გადავახალისოთ კომკავშირის ხელმძღვანელ ორგანოთა და მუშაკთა შემადგენლობა. კომკავშირის პირველადი ორგანიზაციების კრებების, რაიონული, საქალაქო და საოლქო კონფერენციების მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩატარების შედეგად კომკავშირის ხელმძღვანელ ორგანოებში უნდა მოვიზიდოთ ახალგაზრდა ინიციატივიანი და ცოცხალი აქტივისტები, რომლებიც მიმზიდველს და სასიხარულოს გახდიან კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობას.

საქართველოს კომკავშირულმა ორგანიზაციებმა კომკავშირის ხელმძღვანელი ორგანოების ანგარიშგება და არჩევნები უნდა ჩაატარონ ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლით, შინაკომკავშირული დემოკრატიის ზუსტად დაცვის საფუძველზე. მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა, დამახინჯებათა და შეცდომათა გაბედული კრიტიკის შედეგად დასახულ უნდა იქნას განწესი კომკავშირის ახლად არჩეული ორგანოს მუშაობისათვის.

კომკავშირული ორგანოების არჩევნების წარმატებით ჩატარების ძირითად პირობას წარმოადგენს საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ნამდვილად საქმიანი დახმარება და ხელმძღვანელობა. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს კომკავშირული ორგანოების არჩევნების ჩატარების პარტიული ხელმძღვანელობით უზრუნველყოფის შესახებ. ამ დადგენილების საფუძველზე საქ. კ. პ. (ბ) საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები უკვე შეუდგნენ პრაქტიკულ დახმარებას კომკავშირული ორგანიზაციებისადმი.

ეჭვს გარეშეა, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაციები, დიდი **სტალინის** ერთგული მოწაფის ამხანაგ ლავრენტი **ბერიას** მიერ აღზრდილნი, განახორციელებენ კომკავშირისადმი ნამდვილ პარტიულ ხელმძღვანელობას არჩევნების მთელ პერიოდში.

კომკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა აქტივის ფართო დახმარებით წარმატებით უნდა გადასწყვიტონ კომკავშირული ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნებისათვის მზადების საკითხები და უზრუნველჰყონ ამ უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის კამპანიის ბოლშევიკურად ჩატარება.

ყოველივე ეს კიდევ უფრო აღაფრთოვანებს ჩვენს ახალგაზრდობას შემოქმედებითი მუშაობისათვის, ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომი ამაღლებისათვის და კიდევ უფრო დარაზმავს საქართველოს კომკავშირის რიგებს ჩვენი მამისა და მასწავლებლის, მშობლიური **სტალინის** გარშემო.

ლენინი და სტალინი შრომის შესახებ

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ყველა შრომიდან თითქმის ყველაზე მეტად ცნობილი და პოპულარულია შრომის საკითხებისადმი მიძღვნილი ნაშრომები. ეს ნაშრომები განსაკუთრებით აქტუალური ხდება ამჟამად, როდესაც საბჭოთა ხალხი, რომელსაც ბოლშევიკური პარტია ხელმძღვანელობს, იბრძვის შრომითი და სახელმწიფო დისციპლინის ყოველმხრივ განმტკიცებისათვის, რათა კიდევ უფრო აამაღლოს სამშობლოს თავდაცვითი და სამეურნეო ძლიერება.

ამიტომ უნდა მივესალმოთ პროფგამომცემლობის ინიციატივას. მან სავსებით დროულად გამოუშვა წიგნი „ლენინი და სტალინი შრომის შესახებ“*), რომელშიც მოთავსებულია ჩვენი დიდი ბელადების უმნიშვნელოვანესი ნაშრომები შრომისა და წარმოების ორგანიზაციის საკითხებზე და შრომის დისციპლინის საკითხებზე.

○

კაპიტალისტურ სამყაროში არ მოიპოვება ისეთი დანაშაული, რომელსაც არ სჩადიოდნენ წმინდათაწმინდა და ხელშეუხებელი კერძო საკუთრების „სასახელოდ“! ვერაგობა და გულქვაობა, ძარცვა და მკვლელობა, მოტყუება და ცემატყეპა, გამცემლობა და მოსყიდვა, სინდისითა და ადამიანებით ვაჭრობა — ყველაფერი ამოძრავებულია კაპიტალის გაუმაძღარი სიხარბის გულისათვის, მუქთახორათა მოგების გულისათვის. კაპიტალისტური ექსპლოატაციის წნეხს სულ უფრო-დაუფრო მაგრად უჭერენ.

მეფის რუსეთის მაგალითზე ლენინმა, გამოიყენა რა 1908 წლის ოფიციალური დოკუმენტები, ცხადჰყო, რომ რუსეთის 20 ათასი მეფაბრიკისა და მექარხნის მოგება — წლიწადში ნახევარ მილიარდ მანეთზე მეტი — 2¼ მილიონი მუშის ხელფასის მთელ თანხას აღემატებოდა. თვითეული მუშა წელიწადში საშუალოდ 246 მანეთს იღებდა, კაპიტალისტს კი 252 მანეთ მოგებას აძლევდა.

თუ გამოვალთ იქიდან, რომ სამუშაო დღის საშუალო ხანგრძლივობა იმ დროს 11 საათს შეადგენდა, ცხადია, რომ მუშა ხელფასს იღებდა 5½ საათზე ნაკლები დროისათვის. „დანარჩენ 5½ საათს კი მუშა მუქთად შრომობს, არავითარ ხელფასს არ იღებს, და ამ ნახევარ დღეში მუშის მთელი გამომუშავება კაპიტალისტთა მოგებას შეადგენს“.

განა საკვირველია, რომ ასეთ პირობებში კაპიტალისტთა მოგება წარმოუდგენელი სისწრაფით იზრდება და ასეთივე სისწრაფით იზრდება პროლეტარიატის გაღატაკება და გლეხების გაჩანაგება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშების ხელფასი იზრდება (ეს კი სრულებითაც არ ხდება ყოველთვის), მაინც სიძვირე კიდევ უფრო სწრაფად მატულობს, კვება, ტანისამოსი, ფეხსაცმელი, ბინა სულ უფრო ნაკლებად ხელმისაწვდომი ხდება და ამის შედეგად, როგორც სწერდა ლენინი, „მუშა ღატაკდება აბსოლუტურად, ე. ი. წინანდელზე ნამდვილად უფრო ღარიბი ხდება, იძულებულია უფრო ცუდად ცხოვრობდეს, უფრო ცუდად იკვებებოდეს, უფრო ხშირად იყოს მშიერი, ბოგინობდეს სარდაფებსა და ჩარდახებში“. ცხადია, რომ გამდიდრების პროცესში მყოფი კაპიტალისტური საზოგადოების წიაღში მატულობს შეფარდებითი გაღატაკება, ვინაიდან პროლეტართა წილი საზოგადოებრივ შემოსავალში სულ უფროდაუფრო ნაკლები ხდება.

კაპიტალის მგლურ გაუმაძღრობას საზღვარი არა აქვს. იგი არ კმაყოფილდება იმით, რომ სამუშაო დღის ნახევარს ართმევს მუშებს. იგი თავის დასახმარებლად იწვევს აგრეთვე „მეცნიერებას“, იყენებს ტექნიკური ნორმირებისა და შრომის „მეცნიერული“ ორგანიზაციის ხერხებს, აწესებს მუშაობის ყველაზე ეკონომიურ ხერხებს, აიძულებს მუშებს იმავე 9-10 საათში სამჯერ მეტი შრომა დახარჯონ, რაც საბოლოო ანგარიშით მუშას დაქირავებული მონის მდგომარეობაში აყენებს. სტატიებში „სისხლის გამოწოვის „მეცნიერული“ სისტემა“, „ტეილორის სისტემა — ადამიანის დამონება მანქანის მიერ“ და სხვ. ლენინი ამჟღავნებს კაპიტალისტური ექსპლოატაციის მექანიზმს და კაპიტალის ორგანიულ უუნარობას — გონივრულად მოაწყოს შრომა საზოგადოებრივი მასშტაბით.

„რაც უფრო ბნელია ღამე, მით უფრო კაშკაშებენ ვარსკვლავები“. რაც უფრო მძიმე იყო შრომის პირობები მეფის რუსეთში, მით უფრო გადამწყვეტად ჩაღდებოდა პროლეტარიატის ბრძოლა. ბრძოლაში ჩაბმულ მუშათა კლასის მოწინავე რაზმებს მუდამ სათავეში ედგნენ ბოლშევიკები. ლენინის მგზნებარე სტატიები სრული თანხმობით ეხმაურება სტალინის მხურვალე მოწოდებებს: „რით სურს მთავრობას დაგვაჩუმოს ჩვენ? ძალმომრეობით? რით სურს გაუმასპინძლდეს ჩვენს სიმშილს? ტყვიით? არა, ვერ გვაჩუმებს ჩვენ მისი ხიშტები, ვერ დაახშობს მისი სიმკაცრე ჩვენში თავისუფლების მოყვარეულობას, გვამხნევებენ ძმებო, სიმართლე ჩვენსკენაა“. ეს ცეცხლოვანი სიტყვები, რომლებსაც ამხანაგი სტალინი სწერდა ბათუმის საპყრობილიდან 1902 წელს მუშებისადმი მიმართულ პროკლამაციაში, მთელ ქვეყანას ედებოდა.

მგზნებარე მამხილებელი ძალა ლენინისა და სტალინის ნაშრომებისა შრომის კაპიტალისტური ორგანიზაციის შესახებ განსაკუთრებული აქტუალობით გაისმის ამჟამად, როდესაც კაპიტალის ქვეყნებში საომარი ვითარების პირობებში ექსპლოატაციის სიმძიმე განუწყვეტლივ მატულობს. როგორც მეომარ, ისე ჯერჯერობით „მშვიდობიან“ კაპიტალისტურ ქვეყნებში ადამიანები იძულებული არიან იმუშაონ 10-12-14 საათს და მეტ ხანს. უქმდება კვირა-უქმე დღეებში დასვენება. მიუხედავად ფასების ზრდისა ხელფასი მცირდება. ამასთან უმუშევრობა ბევრ ქვეყანაში არა თუ არ მცირდება, არამედ კიდეც მწვავდება. მასების გაღატაკება სავსებით კატასტროფულ ხასიათს ღებულობს.

ამ უმაგალითო სიღატაკესთან, შრომის ამ აღვირახსნილ ძარცვასთან ერთად გაჩაღებულია მდიდრების უსაზღვრო ფუფუნება.

○

ჩვენს ქვეყანაში ოქტომბრის დიდი რევოლუციის მეორე დღეს, მას შემდეგ, რაც დაჰკრა კაპიტალისტური საკუთრების აღსასრულის ჟამმა, შრომის ორგანიზაციის ყველა საკითხი ახლებურად დაისვა.

დაადგა რა ახალი ცხოვრების დამოუკიდებელი შემოქმედების გზას, მუშათა კლასმა არა მარტო უნდა მოახდინოს ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია, მოსპოს კაპიტალისტური კლასები, არამედ კიდევაც შექმნას თავისი, ახალი ორგანიზაცია სოციალისტური მეურნეობისა. ერთიერთ პირველ ადგილზე დგება ბრძოლა შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის, შრომის ახალი დისციპლინის შექმნისათვის, შეჯიბრების სოციალისტური ფორმებისათვის.

სოციალისტური რევოლუციის პირველი დღეებიდანვე ჩაღდება გააფთრებული ბრძოლა არა მარტო კაპიტალისტების წინააღმდეგ, არამედ კაპიტალისტური ტრადიციების იმ დამცველთა წინააღმდეგაც, რომლებიც შეგნებულად თუ შეუგნებლად აფერხებენ სოციალიზმის მშენებლობას. პარტია სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უცხადებს არა მარტო მდიდრებსა და მათ ლაქიებს, არამედ ყველა წუმპეჯებს, თაღლითებს, მუქთახორებსა და ცუღლუტებსაც, რომლებიც სოციალისტურ ფაბრიკას, სახალხო დოვლათს ეპყრობიან როგორც პირადი გამორჩენის წყაროს. იმ ადამიანებს, რომლებსაც ამოქმედებს ერთადერთი ზრახვა „წაჰგლიჯონ რაც შეიძლება მეტი ლუკმა და გაიქცნენ“, ლენინი ულმობლად ჰგმობს როგორც კაპიტალიზმის მიერ გაზრდილ პარაზიტებს. ლენინი მოითხოვს, რომ ასეთ ადამიანებს გავუსწორდეთ ყოველგვარი შეღავათის გარეშე, და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ყოველგვარი სენტიმენტალობა ამ მხრივ უდიდესი დანაშაული იქნებოდა სოციალიზმის წინაშე“.

მოითხოვს რა იმას, რომ გატარდეს სოციალიზმის პრაქტიკული მცნება — „ვინც არ მუშაობს, ის არ სჭამს“, — ლენინი მოითხოვს უაღრესად სასტიკი ზემოქმედების ზომების მიღებას ყველა დეზორგანიზატორის წინააღმდეგ. „ერთ ადგილას საპყრობილეში ჩასვამენ ათიოდე მდიდარს, თორმეტიოდე თაღლითს, ექვსიოდე მუშას, რომელიც სამუშაოს გაურბის... მეორე ადგილას — ფეხსადგილების გასაწმენდად დააყენებენ მათ. მესამე ადგილას — კარცერის მოხდის შემდეგ მისცემენ მათ ყვითელ ბილეთებს, რათა მთელმა ხალხმა, მათ გამოსწორებამდე, თვალყური ადევნოს მათ, როგორც მავნე ადამიანებს. მეოთხე ადგილას — მუქთახორობაში დამნაშავე ათი კაციდან ადგილზევე დახვრეტენ ერთს“.

რაც უფრო სხვადასხვანაირი იქნება მუქთახორების წინააღმდეგ ზემოქმედების ზომები, რაც უფრო სერიოზული იქნება მათთან ბრძოლა, მით უფრო საიმედო და სწრაფი იქნება სოციალიზმის წარმატება.

შრომის დისციპლინისათვის ბრძოლებისადმი მიძღვნილი სტრიქონები, რომლებიც ლენინმა 1918 წელს დასწერა, იმდენად აქტუალურად გაისმის, რომ თითქოს პირდაპირი დასაბუთებაა მთავრობის უკანასკნელი ღონისძიებებისა, რომლებიც მიმართულია ფრენიებისა და წარმოების სხვა დეზორგანიზატორების წინააღმდეგ საბრძოლველად.

თანმიმდევრულად ავითარებს რა ლენინის მოძღვრებას, ამხანაგმა სტალინმა გაშალა სოციალისტურ სახელმწიფოში შრომის უმტკიცესი დისციპლინისათვის ბრძოლის დროშა. „ათეულ და ასეულათასობით სამუშაო დღეები, — ამბობდა ამხანაგი სტალინი 1926 წელს ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე, — იკარგება მრეწველობისათვის სამუშაოს გაცდენათა გამო. ასეული ათასები და მილიონები იკარგება ამის გამო ჩვენი მრეწველობის საზიანოდ, ინდუსტრიის საზიანოდ. ჩვენ არ შეგვიძლია წინ წავსწიოთ ჩვენი ინდუსტრია, ჩვენ არ შეგვიძლია ავამაღლოთ ხელფასი, თუ არ მოისპო სამუშაოს გაცდენები, თუ შრომის ნაყოფიერება ერთ წერტილზე გაიყინა“.

1929 წლის დამდეგს პირველი სტალინური ხუთწლედის გეგმით დაწყებული ახალი მშენებლობის პათოსმა შეჯიბრების უდიდესი ტალღა გამოიწვია. ამ ახალმა ინიციატივამ მაშინვე ჰპოვა მხარდაჭერა და თეორიული განზოგადება ამხანაგ სტალინის გამოსვლაში. ამხანაგი სტალინი გვაძლევს სოციალისტური შეჯიბრების, როგორც მშრომელთა მილიონიანი მასების მაქსიმალური აქტივობის საფუძველზე სოციალიზმის მშენებლობის კომუნისტური მეთოდის, დედაარსის კლასიკურ განსაზღვრას. ამხანაგი სტალინი ხაზგასმით აღნიშნავს იმ დაპირდაპირებას, რაც არსებობს სოციალიზმის დროს ადამიანთა შეჯიბრებასა და კაპიტალიზმის დროს კონკურენციას შორის. იქ, მათთან მოქმედებს მგლური კანონი: ჩამორჩენილების დამარცხება, სუსტების დაღუპვა, იმათი ბატონობა, ვინც იმარჯვებს. აქ, ჩვენში — ურთიერთდახმარებისა და ხელშეწყობის პრინციპი: საუკეთესოებისათვის მიბაძვით მივაღწიოთ საერთო აღმავლობას. თავისათვის მუშაობა წარმოშობს შრომის ჰეროიკას, შრომა იქცევა ღირსების საქმედ. იგი მოსილია დიდების შარავანდედით.

შრომისმოყვარე მებაღის სიყვარულით და ყურადღებით ზრდის ამხანაგი სტალინი ახლის შესანიშნავ ყლორტებს. მისი მოხსენებები პარტიის ყრილობებზე, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე, მეტალურგთა, ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა, რკინიგზელთა, წითელი არმიის აკადემიკოსთა, მეცნიერების მუშაკთა მიღებაზე, სამეურნეო მუშაკთა, სტახანოველთა, საკოლმეურნეო წარმოების მოწინავე ადამიანთა, კომბაინერთა, ჭარხლის, ბამბის მინდვრების დამკვრელთა თათბირებზე მიმართულია შრომის ახალი, სოციალისტური ფორმების გაზრდისაკენ, შრომის სოციალისტური ორგანიზაციის აღმავლობისაკენ, შრომის ნაყოფიერების ამაღლებისაკენ.

საბჭოთა ქვეყანა წლითი-წლობით იზრდებოდა და მტკიცდებოდა. მაგრამ არ არსებობს და არც ყოფილა უფრო მეტი საფრთხე, ვიდრე გამედიდურება, მიღწეულით თავის დამშვიდება. მტერს არ სძინავს, ჩვენი ქვეყანა კი მტრულ, კაპიტალისტურ გარემოცვაში ცხოვრობს. ამიტომ ლენინი და სტალინი, კომუნიზმის დიდი მასწავლებლები, დაუღალავად რაზმავდნენ პარტიის, მუშათა კლასის, ყველა მშრომელთა ყურადღებას ნაკლოვანებების, ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი ამოცანების ირგვლივ.

სოციალიზმი დაამარცხებს კაპიტალიზმს შრომის უფრო მაღალი ნაყოფიერებით.

„შრომის ნაყოფიერების სისტემატური ზრდის გარეშე როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის დარგში ჩვენ ვერ გადავჭრით რეკონსტრუქციის ამოცანებს, ვერ შევძლებთ არა თუ დავეწიოთ და გავუსწროთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს, არამედ შევინარჩუნოთ დამოუკიდებელი არსებობაც კი. ამიტომ შრომის ნაყოფიერების ზრდის პრობლემას ჩვენთვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს“. ასე ამბობდა ამხანაგი სტალინი 1930 წლის ივნისში, სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პირველ პერიოდში.

პარტიის მოწოდებას საბჭოთა ხალხმა უპასუხა მძლავრი შრომითი აღმავლობით, დამკვრელობის, წარჩინებულობის, ხოლო შემდეგ სტახანოვური მოძრაობის ზრდით. სოციალისტური შეჯიბრება — „**კომუნისტური მეთოდი სოციალიზმის მშენებლობისა** მშრომელთა მილიონიანი მასების მაქსიმალური **აქტივობის საფუძველზე**“ (სტალინი) — დაგვეხმარა მიგვეღწია დიდი წარმატებებისათვის შრომის ნაყოფიერების ამაღლებაში.

ახლა, ორი სტალინური ხუთწლედის გამარჯვებათა შედეგად, წარმოების ტექნიკის მიხედვით სსრ კავშირმა უკვე პირველი ადგილი დაიკავა მსოფლიოში.

ჩვენი ქვეყანა შევიდა უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლის ხანაში. კომუნიზმი განირჩევა საქონლის და, კერძოდ, მოხმარების საგნების უმაგალითო სიუხვით. ყველა მოთხოვნილება სრულად რომ დავაკმაყოფილოთ, უნდა მივაღწიოთ წარმოების ისეთ სულთმბრივ ნორმებს, როგორიც მსოფლიოში არსად არ არის. გზას კი ამ კომუნისტური სიუხვისაკენ წარმოადგენს მხოლოდ შრომის უმაღლესი ნაყოფიერება, რომელიც უნახავია კაპიტალიზმის დროს.

და ამხანაგი სტალინი პარტიის XVIII ყრილობაზე უსახავს ჩვენს ქვეყანას ახალ ამოცანებს: შემდგომ გავშალოთ ჩვენი მრეწველობის აღმავლობა, შრომის ნაყოფიერების ზრდა, წარმოების ტექნიკის გაუმჯობესება იმ ანგარიშით, რომ მას შემდეგ, რაც ჩვენ უკვე გავუსწარით მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს წარმოების ტექნიკის და მრეწველობის ზრდის ტემპების დარგში, გავუსწროთ მათ ეკონომიურადაც უახლოესი 10-15 წლის განმავლობაში.

ამხანაგ სტალინის ექვსი ისტორიული პირობა, მისი მოწოდება ტექნიკის დაუფლებისაკენ, ლოზუნგი „კადრები სწყვეტენ ყველაფერს“, სიტყვა სტახანოველთა პირველ საკავშირო თათბირზე, მოწოდება ბოლშევიზმის დაუფლებისაკენ — ყოველივე ეს რგოლებია ერთიანი, განუწყვეტელი ჯაჭვისა, ერთიანი პროგრამისა, რომელსაც მივყავართ კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

განსაკუთრებულ — თეორიულ და პრაქტიკულ — ინტერესს წარმოადგენს ამხანაგ სტალინის უღრმესი სიბრძნითა და დამაჯერებლობით გამსჭვალული გამოსვლები, რომლებიც მიძღვნილია კოლმეურნეობებში შრომის ბოლშევიკური ორგანიზაციისადმი. დამკვრელ კოლმეურნეთა პირველ საკავშირო ყრილობაზე 1933 წელს ამხანაგმა სტალინმა განაცხადა:

„ზოგჯერ ამბობენ: თუ სოციალიზმია, — რაღა საჭიროა შრომა? ვშრომობდით წინათ, ვშრომობთ ახლა, — დრო არ არის, რომ თავი დავანებოთ შრომას? ასეთი სიტყვები, ამხანაგებო, ძირშივე შეცდარია. ეს არის უქნარების ფილოსოფია, და არა პატიოსანი მშრომელებისა. სოციალიზმი სრულიადაც არ უარჰყოფს შრომას. პირიქით, სოციალიზმი შენდება შრომაზე. სოციალიზმი და შრომა განუყოფელია ერთმანეთისაგან. ლენინი, ჩვენი უდიდესი მასწავლებელი, ამბობდა: „ვინც არ შრომობს, ის არ სჭამს“. რას ნიშნავს ეს, ვის წინააღმდეგ არის მიმართული ლენინის სიტყვები? ექსპლოატატორების წინააღმდეგ, იმათ წინააღმდეგ, ვინც თვითონ არ შრომობს, სხვას აიძულებს იშრომოს და მდიდრდება სხვის ხარჯზე. კიდევ ვის წინააღმდეგ არის მიმართული? იმათ წინააღმდეგ, ვინც თვითონ ზარმაცობს და უნდა სხვის ხარჯზე მოითბოს ხელი. სოციალიზმი მოითხოვს არა სიზარმაცეს, არამედ იმას, რომ ყველა ადამიანი პატიოსნად შრომობდეს, შრომობდეს არა სხვებისათვის, არა მდიდრებისა და ექსპლოატატორებისათვის, არამედ საკუთარი თავისათვის, საზოგადოებისათვის“.

○

საგაზეთო სტატიაში, ცხადია, შეუძლებელია ამოვწუროთ თუნდაც ჩამოთვლა იმ ღრმა პრობლემებისა, რომლებიც გაშუქებულია ლენინისა და სტალინის ნაშრომებში შრომის საკითხებზე. წიგნში „ლენინი და სტალინი შრომის შესახებ“ მკითხველი ბევრ რამე საგულისხმოს იპოვნის კადრების პრობლემაზეც, შრომის ნორმირებაზეც, შრომის ანაზღაურების სისტემის აგებაზეც, სოციალურ დაზღვევაზე, ქალთა შრომაზე და სხვ.

მთლიანად კრებული, როგორც ჩვენი დიდი მასწავლებლების ნაწარმოებთა ქრესტომათია, უდიდეს სარგებლობას მოიტანს და ხელს შეუწყობს როგორც პარტიული, პროფკავშირული, სამეურნეო, კომკავშირული კადრების იდეურ აღზრდას, ისე შრომის შესახებ ლენინურ-სტალინური მოძღვრების პროპაგანდასაც.

ბ. მარკუსი

---

*) „Ленин и Сталин о труде“ Профиздат. 1940. 627 გვ. ფასი 12 მან. 50 კაპ.

ვამოწმებთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის და 10 ივლისის ბრძანებულებების შესრულებას

დანაშაულებრივი დაუდევრობა

ივანოვოს ოლქის ქ. შუის ლიქიორის ქარხნის დირექტორმა საჩივარი აღძრა თბილისის სასოფლო-სამეურნეო იარაღების ქარხნის დირექტორის მიმართ იმის გამო, რომ მან უხარისხოდ დამზადებული საქაჩავი მანქანა „ფარფერა“ მიაწოდა. მიმართვას დართული ჰქონდა სათანადო აქტი იმის შესახებ, რომ მანქანის ნაწილი გატყდა. მიუხედავად ამისა, თბილისის სტალინის სახელობის რაიონის პროკურორმა ამხ. შამუგიამ და გამომძიებელმა გიორგაძემ 20 აგვისტოს მიმართვა გაგზავნეს ქ. შუიაში და სასწრაფო წესით მოითხოვეს აქტი. ნამდვილად კი ეს აქტი სტალინის რაიონის პროკურატურის საქმეში იდო.

დანაშაულებრივი დაუდევრობა, საქმისადმი უსულგულო დამოკიდებულება—სხვა რა უნდა დავარქვათ ამას!

სცოდავს საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურატურაც. შუის ლიქიორის ქარხნის დირექტორის მომართვა და აქტი პირველად აქ მიიღეს 31 ივლისს, სტალინის რაიონის პროკურატურას კი გადაუგზავნეს 8 აგვისტოს. საქმის გაჭიანურება გრძელდება... შამუგიამ მხოლოდ 14 აგვისტოს დასწერა:— ამხ. კერესელიძეს (პროკურორის თანაშემწე) „აღძარით სისხლის სამართლის დევნა“. გამოძიება დაეკისრა ჯერ ვ. ცხვარაძეს, ხოლო 2 დღის შემდეგ ვ. გიორგაძეს.

ასევე ჭიანურდება უხარისხო პროდუქციის გამომშვებთა — „საქსარეწტყეკავშირის“ სისტემაში შემავალ არტელ „ტვიორდოლესპრომის“ გამგეობის თავმჯდომარე ს. სურგულაძის და ინჟინერ ვ. ზავაცკის საქმე. ეს ფაქტები მოწმობენ, რომ თბილისის სტალინის სახელობის რაიონის პროკურატურა და, შეიძლება ითქვას, რესპუბლიკის პროკურატურაც სუსტად იბრძვიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 10 ივლისის ბრძანებულების სწორად გატარებისათვის.

უფრო აღმაშფოთებელ ფაქტებს ვხვდებით 26 ივნისის ბრძანებულების გატარების საქმეში. მოგვყავს მხოლოდ ერთი ფაქტი:

10 ივლისს თბილისის ტრამვაისა და ტროლეიბუსების ტრესტის საბავშვო ბაგის გამგემ სტალინის რაიონის პროკურორის პირველ თანაშემწეს ამხ. კერესელიძეს გადასცა სამუშაოს თვითნებურად მიმტოვებელ თ. ბალავაძის საქმე. კერესელიძემ იგი გადასცა მეორე თანაშემწეს ამხ. გავაშელს. ანეკდოტი არ გეგონოთ: 10 ივლისიდან 13 აგვისტომდე, ესე-იგი ერთი თვისა და სამი დღის განმავლობაში შრომის დეზორგანიზატორ ბალავაძის საქმე გავაშელის უჯრაში ინახებოდა. 13 აგვისტოს საქმე გადასცეს გამომძიებელ ვ. ცხვარაძეს. ამ უკანასკნელმაც სრული დაბნეულობა გამოამჟღავნა. — ბალავაძე დროებით მუშაობდა, ამიტომ დავეჭვდი შეიძლებოდა თუ არა მისი პასუხისგებაში მიცემაო, — განაცხადა გამომძიებელმა. ერთი სიტყვით, საქმე, რომელიც 5 დღის განმავლობაში უნდა გაირჩეს, 10 ივლისიდან დღემდე სტალინის რაიონის პროკურატურის მაგიდების უჯრებშია.

საქმეების გაჭიანურების ფაქტებს რაიპროკურატურაში იმით ხსნიან, რომ მათ მუშაკები არ ჰყოფნით. ამავე დროს რესპუბლიკის პროკურატურა დანაშაულს სჩადის. გამომძიებელი ამხ. ზედგინიძე და ბალაბოლინი ხელფას იღებენ სტალინის რაიონის პროკურატურიდან, მის შტატში ითვლებიან, ხოლო მუშაობენ რესპუბლიკის პროკურატურაში. ნუ თუ ეს დასაშვებია?

აკ. შონია

კიდევ უფრო გავაძლიეროთ პარტიული კონტროლი

(ბორჯომი, ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

ბორჯომის მინერალური წყლების ჩამომსხმელ ქარხანაში სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულების შემდეგ რამდენადმე შემცირდა სამუშაოზე დაგვიანებისა და სამუშაო დღის გაცდენის შემთხვევები. თუ მაისში ადგილი ჰქონდა შრომის დისციპლინის დარღვევის 43 შემთხვევას, ხოლო ივნისში—29-ს, ივლისში ეს შემცირდა 15-მდე, ხოლო აგვისტოში შრომის დისციპლინა დაარღვია 9 კაცმა.

სამუშაო დღის გამცდენთა და დამგვიანებელთა შორის არიან პარტიის წევრ - კანდიდატები და კომკავშირელებიც. ამ ხნის განმავლობაში შრომის დისციპლინა დარღვეული აქვს პარტიის სამ წევრსა და კანდიდატს და 7 კომკავშირელს.

პარტიის წევრობის კანდიდატმა, გაზის საამქროს მემანქანე ივ. კუთხაშვილმა 25 ივლისს 55 წუთით დაიგვიანა, მას სასამართლომ 3 თვის შრომა - გასწორებითი სასჯელი მიუსაჯა; პარტწევრობის კანდიდატმა შოთა კირტავამ 27 ივლისს 17 წუთით დაიგვიანა, კომკავშირელმა ალ. გელაშვილმა გააცდინა ორი დღე, რისთვისაც 5 თვის იძულებითი მუშაობა მიესაჯა. შრომის დისციპლინა დაარღვიეს აგრეთვე კომკავშირელებმა კლარა ხუციშვილმა, პეტრე აზაროვმა, ზაქ. არბოლაშვილმა.

შრომის ამ დეზორგანიზატორთაგან მაშინვე არცერთის შესახებ არ უმსჯელნიათ პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს.

პარტორგანიზაციის და კომკავშირის ხელმძღვანელები ვალდებული იყვნენ, როდესაც პარტიის სათანადო მითითებას გაეცვნენ პრესაში, მოეწვიათ პარტიული და კომკავშირული კრებები და გაეცნოთ იგი ამხანაგებისათვის, მაგრამ ქარხანაში ასე არ მოიქცნენ. ამ გარემოებისათვის არც პარტრაიკომს მიუქცევია ყურადღება.

ორიოდე სიტყვა სასამართლოს შესახებ მინერალური წყლების ჩამომსხმელი ქარხნის შრომის დეზორგანიზატორთა საქმეების გარჩევასთან დაკავშირებით. სასამართლოს ამ შემთხვევაში არ ეთქმის საყვედური საქმის მაინცადამაინც გაჭიანურებაზე, მაგრამ ნაკლი ის არის, რომ სასამართლო არ აყენებს ქარხანას საქმის კურსში იმის შესახებ, თუ რა განაჩენი გამოუტანა მან ამა თუ იმ გამცდენს.

ქარხანაში კიდევ აქვს ადგილი უხელფასო შვებულებებს, რაც აგრეთვე დაგმობილია. უხელფასო შვებულება ლეგალიზებულ გაცდენას ნიშნავს და ადმინისტრაციამ მასზე ხელი უნდა აიღოს.

ქარხნის პარტიულ, სამეურნეო, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა მართებთ საწარმოში სრული ბოლშევიკური წესრიგის დასამყარებლად.

ან. კილენჯერიძე



ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკის პროპაგანდისტი ამხ. გელაშვილი ამხ. ზაიანდუროვს ურჩევს ლიტერატურას თეორიული კონფერენციისათვის თემაზე „შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების შესახებ“.

საქდესის ფოტოქრონიკა

პარტიულმა ორგანიზაციამ განიხილა, მაგრამ...

შეიძლება ითქვას, რომ თბილისის მე-6 სამკერვალო ფაბრიკის პარტიული ორგანიზაცია სუსტად უწევს კონტროლს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულების განუხრელად გატარებას, რის შედეგადაც ადგილი აქვს შრომის დისციპლინის დარღვევას, ზოგიერთ საამქროში ცუდი ხარისხის პროდუქციის გამოშვებას.

ლენინ - სტალინის დიადი პარტიის წესდება მოითხოვს, რომ პარტიის თვითეული წევრი წარმოადგენდეს შრომითი და სახელმწიფო დისციპლინის დაცვის ნიმუშს, დაუღალავად მუშაობდეს თავისი საქმის ტექნიკის დაუფლებისა და საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. მაგრამ ზოგიერთი კომუნისტი როდი ანხორციელებს წესდების ამ მოთხოვნას. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ასეთი ფაქტი. აღნიშნული ფაბრიკის მუშა ნ. ოსიპოვი (პარტიის წევრი) 29 ივლისს სამუშაოზე 4 საათის დაგვიანებით გამოცხადდა. ადმინისტრაციამ მისი საქმე გადასცა სახალხო სასამართლოს, რომელმაც ოსიპოვს სამი თვით იძულებითი მუშაობა მიუსაჯა, ხელფასიდან 15 პროცენტის დაკავებით.

ყოველივე ამის შემდეგ პირველადი პარტიული ორგანიზაციის კრებაზე განიხილეს ნ. ოსიპოვის, როგორც სამუშაოს გამცდენის, სახელმწიფო და პარტიული დისციპლინის უხეშად დამრღვევის საკითხი. პარტიულ კრებაზე კომუნისტებმა ერთხმად მოითხოვეს ნ. ოსიპოვის პარტიის რიგებიდან გარიცხვა, რადგანაც კომუნისტი-გამცდენი სავსებით შეუთავსებელია ლენინ-სტალინის დიადი პარტიის წევრის სახელწოდებასთან. სამუშაოს გამცდენი ნ. ოსიპოვი პირველადი პარტიული ორგანიზაციის დადგენილებით გაირიცხა საკ. კ. პ. (ბ) რიგებიდან. ეს ასეც უნდა მომხდარიყო. მაგრამ აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ პარტორგანიზაციამ ოსიპოვის საკითხი მხოლოდ 17 აგვისტოს განიხილა, რაც ცოტა არ იყოს დაგვიანებულია.

ზოგჯერ ფაბრიკაში ადგილი აქვს შრომის დისციპლინის დარღვევას. ასე, მაგალითად, ამასწინათ კომუნისტმა მუშებმა: ა. კარაპეტიანმა, ნ. პარახელაშვილმა, მ. რემეზოვამ, ო. ბადრიძემ და ა. აბრიანმა სამუშაოზე 4, 5 და 6 წუთით დაიგვიანეს, რაზედაც პარტბიურომ (მდივანი—ამხ. ს. ხაჩატუროვი) მათ მისცა გაფრთხილება, რომ თუ ეს განმეორდა, მაშინ მკაცრი ზომები იქნება მიღებული და სხვ. ეს როდი კმარა. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ პარტიულმა ორგანიზაციამ უფრო მაგრად ჩასჭიდოს ხელი ფაბრიკის წარმოების ეკონომიკას და ენერგიულად იმუშაოს დისციპლინის გადაჭრით განმტკიცებისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 10 ივლისის ბრძანებულება „აწესებს, რომ ცუდი ხარისხის ან არაკომპლექტური პროდუქციის გამოშვება და სავალდებულო სტანდარტების დარღვევით პროდუქციის გამოშვება წარმოადგენს სახელმწიფოს საწინააღმდეგო დანაშაულს, რომელიც მავნებლობას უდრის“ („პრავდა“). აღნიშნული ფაბრიკის ზოგიერთ საამქროში ადგილი აქვს ცუდი ხარისხის პროდუქციის გამოშვებას. მაგალითად, მკერავმა მ. მაკაევმა (პარტიის წევრი) ამ დღეებში სამჯერ გამოუშვა ცუდი ხარისხით პიჯაკი, საამქროს წუნმდებელმა სამჯერვე უკან დაუბრუნა პიჯაკი მაკაევს და მიუთითა, როგორ გადაეკეთებინა. მართალია, მკერავმა ეს გადააკეთა, მაგრამ საქმე ამაში როდია. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ წარმოება ცუდი ხარისხის პროდუქციას არ უშვებდეს.

პარტიული ორგანიზაციის კრების მსჯელობის საგნად ჯერ არ გამხდარა ამხ. მაკაევის, როგორც ცუდი ხარისხის პროდუქციის გამომშვების, საკითხი.

ფაბრიკის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს კონტროლი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისისა და 10 ივლისის ბრძანებულებათა განუხრელად განხორციელებაზე და იბრძოლოს მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის.

გრ. ოდიშელი

საომარი მოქმედება ევროპასა და აფრიკაში

ტოტალური ბლოკადის ეფექტიურობა

ბერლინი, 23 აგვისტო (საკდესი). ბიულეტენი „დინსტ აუს დოიჩლანდი“ გუშინ სწერდა, რომ 21 აგვისტოს ირლანდიის ჩრდილოეთით ზღვაში 12 ათასი ხარეგისტრო ბრუტო-ტონა წყალწყვის სავაჭრო გემის ჩაძირვა, აგრეთვე 3 სხვა სავაჭრო გემის დაზიანება მოწმობს, თუ რამდენად სერიოზულია ტოტალური ბლოკადა, რომელიც გერმანიის მთავრობამ ინგლისს გამოუცხადა.

ბლოკადის რაიონებს კონტროლს უწევენ გერმანიის წყალქვეშა ნავები, ეს რაიონები ინაღმება და, გარდა ამისა, იქ მოქმედებს გერმანიის ავიაცია. უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისის ავიაგამანადგურებლები ძალიან სუსტ წინააღმდეგობას უწევენ ამ ოპერაციებს. გერმანიაში აღნიშნავენ, — სწერს შემდეგ ბიულეტენი, — რომ ამჟამად გერმანიის ავიაცია შეუდგა ინგლისის სარკინიგზო ნაგებობათა დანგრევას. იმის გამო, რომ ინგლისის რკინიგზები ადვილად მისაწვდომია, ამ თავდასხმებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნებათ.

ინგლისის თვითმფრინავების თავდასხმა გერმანიაზე

ლონდონი, 23 აგვისტო (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს ავიაციის სამინისტროს შემდეგს კომუნიკეს: „მიუხედავად არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობებისა, ინგლისის თვითმფრინავებმა 21 აგვისტოს, ღამით, მოახდინეს თავდასხმა მტრის ნავთსაწმენდ ქარხნებზე მაგდებურგსა და ჰანოვერში. ჩვენი თვითმფრინავები თავს დაესხნენ აეროდრომებს კანსა და აბვილში (საფრანგეთი) და მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენეს მათ. ყუმბარებისაგან ცეცხლი გაუჩნდა აგრეთვე ანგარებს. ინგლისის ყუმბარმშენებმა იერიში მიიტანეს აგრეთვე აეროდრომებზე კვაკენბრიუკში, ჰანოვერის მახლობლად, და ტექსელის კუნძულზე. რურისა და რაინის ოლქებში ბომბარდირებულ იქნა რკინიგზის მნიშვნელოვანი ცენტრები. ჩვენი ერთი ყუმბარმშენი არ დაბრუნებულა“.

ლონდონი, 23 აგვისტო (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ინგლისის ავიაციამ მიმდინარე წლის 10 მაისიდან მოახდინა 599 თავდასხმა გერმანიასა და გერმანიის მიერ დაპყრობილ ქვეყნებზე. გერმანიაში ჩამოყრილია დაახლოებით 158.000 ყუმბარა. ინგლისის ყუმბარმშენთა ნაფრენობა გერმანიაში 3 მილიონ მილს აღემატება.

ინგლისის ავიაციის სამინისტროს კომუნიკე

ლონდონი, 23 აგვისტო (საკდესი). ავიაციის სამინისტროს კომუნიკეში ნათქვამია, რომ „22 აგვისტოს, დღისით, გემთა ქარავანს, რომელიც დუვრის სრუტის რაიონში იმყოფებოდა, საფრანგეთის სანაპიროზე დადგმული მძიმე ქვემეხები დაუშინეს. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ყუმბარა ქარავნის ახლოს გასკდა, არცერთი გემი არ დაზიანებულა. უფრო გვიან იმავე ქარავანზე იერიში მიიტანეს გერმანიის თვითმფრინავებმა. გემებს გერმანიის თვითმფრინავებმაც ვერ მიაყენეს ვერავითარი ზიანი და ისინი განდევნეს საზენიტო ბატარიის ცეცხლმა და ავიაგამანადგურებლებმა. საჰაერო ბრძოლაში ჩამოგდებულია მტრის ერთი თვითმფრინავი. 22 აგვისტოს განმავლობაში გერმანიის თვითმფრინავთა მცირერიცხოვანი რაზმები გამოჩნდნენ ინგლისის სანაპიროზე. ვერცერთმა თვითმფრინავმა ვერ მოახერხა შეჭრილიყო ქვეყნის სიღრმეში მნიშვნელოვან მანძილზე. თვითმფრინავებს ყუმბარები არ ჩამოუყრიათ. დღის განმავლობაში ჩვენი ავიაგამანადგურებლების მიერ სულ ჩამოგდებულია გერმანიის 4 თვითმფრინავი. ჩვენმა ავიაციამ 2 ავიაგამანადგურებელი დაჰკარგა“.

გერმანიის ავიაციის მოქმედება

ბერლინი, 23 აგვისტო (საკდესი). როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, გერმანიის ავიაციას, როგორც გუშინ, ისე წუხელ ღამით შეუნელებელი ძალით მიჰქონდა იერიშები ინგლისის ტერიტორიაზე. შოტლანდიაში ბომბარდირებულია რამდენიმე ნავსადგური, ამასთანავე ყუმბარებმა დიდი ზიანი მიაყენა ორ სავაჭრო გემს. დუვრის მახლობლად გაფანტულ იქნა გემთა ქარავანი, რომელთა ნაწილიც მნიშვნელოვნად არის დაზიანებული. ცენტრალურ ინგლისში გერმანიის თვითმფრინავებმა ყუმბარები დააყარეს სამხედრო ქარხნებს. წარმატებით დაუშინეს ყუმბარები რამდენიმე საავიაციო ქარხანასა და აეროდრომს, რომლებიც ინგლისის სამხრეთ ნაწილში მდებარეობენ. მტერმა 11 თვითმფრინავი დაჰკარგა, გერმანიის 3 თვითმფრინავი თავის ბაზებში არ დაბრუნებულა.

საჰაერო ბრძოლა ინგლისში

ლონდონი, 24 აგვისტო (საკდესი). ინგლისის ავიაციის სამინისტრო და შინაგან საქმეთა და შინაგანი უშიშროების სამინისტრო იუწყებიან: „22 აგვისტოს ღამის განმავლობაში მტრის თვითმფრინავები თავს ესხმოდნენ ინგლისს. თვითმფრინავები მოქმედებდნენ ცალცალკე ან მცირე ჯგუფებად. ინგლისისა და სამხრეთ უელსის სხვადასხვა რაიონებში და აგრეთვე ჩრდილო - აღმოსავლეთ შოტლანდიის ერთერთ ქალაქში ჩამოჰყარეს ყუმბარები. რამდენიმე ყუმბარა ჩამოყრილია ლონდონის მახლობლად. დაზიანებულია სახლები. არის ადამიანთა მცირე მსხვერპლი. ჩრდილო-აღმოსავლეთ ინგლისის ორ ქალაქში დაზიანებულია კერძო სამფლობელოები. უმნიშვნელო ზიანია აგრეთვე სამხრეთ-აღმოსავლეთ ინგლისის ორ ქალაქში. სხვა რაიონებში არის დაზიანება და ადამიანთა მსხვერპლი.

22 აგვისტოს საჰაერო ბრძოლის დროს ჩამოგდებულია მტრის 9 თვითმფრინავი. აქედან 7 თვითმფრინავი ჩამოაგდეს ჩვენმა ავიაგამანადგურებლებმა და 2—საზენიტო არტილერიამ. ჩვენი 4 ავიაგამანადგურებელი დაიღუპა, მაგრამ ორი მფრინავი გადარჩენილია. მტრის ერთი ყუმბარმშენი ჩამოგდებულ იქნა გუშინ დილაადრიან“.

ლონდონი, 24 აგვისტო (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ გუშინ გერმანიის თვითმფრინავებმა ყუმბარა დაუშინეს ქალაქს გემპის საგრაფოში და მთელ რიგ პუნქტებს უაიტის კუნძულზე. უმნიშვნელოდ დაზიანდა შენობები და მაღაზიები. არის ადამიანთა მსხვერპლი. ღამით მტრის ავიაციამ ყუმბარები ჩამოჰყარა სამხრეთ-აღმოსავლეთ, სამხრეთ-დასავლეთ და ცენტრალური ინგლისის მთელ რიგ პუნქტებში და აგრეთვე სამხრეთ უელსში. არის დაჭრილები.

ლონდონი, 24 აგვისტო (საკდესი). ავიაციის სამინისტრო იუწყება, რომ 22 აგვისტოს ღამით ინგლისის ავიაციამ გააფთრებით დაუშინა ყუმბარა გერმანიის შორსმსროლელ ქვემეხებს, რომლებიც დადგმულია საფრანგეთის სანაპიროზე ბულონსა და კალეს შორის. ინგლისის ავიაციამ ყუმბარა დაუშინა აგრეთვე სამხედრო ობიექტებს გერმანიაში. იერიშები მიტანილ იქნა 22 აეროდრომზე გერმანიასა და მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე. დაბრუნდა ყველა თვითმფრინავი, გარდა ერთისა, რომელიც იძულებული გახდა დაშვებულიყო. ამ თვითმფრინავის ეკიპაჟი დაიღუპა.

ფინეთის ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის დანიშვნა

ბერლინი, 24 აგვისტო (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიუროს ცნობით, ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის პოსტზე დანიშნა ტოივო სალმიო.

ამერიკის შეერთებულ შტატებში სამხედრო ბეგრის შემოღების საკითხის განხილვა

ნიუ-იორკი, 23 აგვისტო (საკდესი). ამერიკის კონგრესში გრძელდება ბრძოლა ამერიკის შეერთებულ შტატებში სავალდებულო სამხედრო ბეგრის შემოღების საკითხის გარშემო. როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ იუწყება, სენატში მყოფი დემოკრატების უმრავლესობის ხელმძღვანელმა ბარკლიმ 21 აგვისტოს სენატში განაცხადა, რომ „ამერიკელი ხალხი მოითხოვს სამხედრო ბეგრის საკითხზე გადაწყვეტილების ფრიად სწრაფად მიღებას“. სენატორები ჰოლტი, უილერი და უოლში 21 აგვისტოს კვლავ გამოვიდნენ მშვიდობიან დროს სამხედრო ბეგრის შემოღების წინააღმდეგ. იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, სენატორმა უოლშმა წამოაყენა წინადადება წარმოდგენილ კანონპროექტში შეტანილ იქნას შესწორება, რომლის თანახმადაც სამხედრო ბეგარა მხოლოდ ომის გამოცხადების შემდეგ შეიძლება იქნას შემოღებული.

როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, 21 აგვისტოს სენატმა უარჰყო წინადადება იმის შესახებ, რომ ხალხის მობილიზაციასთან ერთად პრეზიდენტს მიენიჭოს რწმუნებანი მოახდინოს ცალკეულ მდიდარ პირთა საფინანსო რესურსების მობილიზაცია.

ამერიკული პრესა კვლავ ათავსებს ცნობებს სამხედრო ბეგრის შემოღების წინააღმდეგ მასობრივი გამოსვლების შესახებ. როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო ვაშინგტონიდან იუწყება, 21 აგვისტოს ათასზე მეტმა ქალმა სამხედრო ბეგრის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად ჩამოახრჩო გამოსახულება სენატორ პეპერისა, რომელიც არის ინგლისისათვის დახმარების გაწევისა და ამერიკის შეერთებულ შტატებში სამხედრო ბეგრის შემოღების აქტიური მომხრე. სააგენტოს სიტყვით, ეს ქალები წარმოადგენენ „ამერიკელი დედების კონგრესის“ 10 ათას წევრს.

გაზეთი „პოსტ მერიდიემი“ იუწყება, რომ გამოკვლეულ იქნა 152 გაზეთი, რომლებსაც სცემენ ამერიკის შრომის ფედერაციაში და საწარმოო პროფკავშირთა კონგრესში შემავალი პროფკავშირები, აგრეთვე დამოუკიდებელი პროფკავშირები. ამ გამოკვლევამ ცხადჰყო, რომ მხოლოდ 3 გაზეთი უჭერს მხარს სამხედრო ბეგრის შემოღებას ამა თუ იმ სახით.

როგორც გაზეთი „დეილი უორკერი“ პიტსბურგიდან იუწყება, 18 აგვისტოს პოლიციამ დააპატიმრა „მუშათა დახმარების საერთაშორისო საზოგადოების“ თავმჯდომარე ლოური, როცა იგი ლაპარაკობდა კრებაზე, რომელსაც 700 კაცი ესწრებოდა. კრება მიძღვნილი იყო პროტესტისადმი სამხედრო ბეგრის შემოღებისა და სამოქალაქო თავისუფლებათა შეზღუდვის წინააღმდეგ. ლოური პატიმრობიდან თავდებობით გაათავისუფლეს. „დეილი უორკერი“ ფლინტიდან (მიჩიგანის შტატი) იუწყება აგრეთვე, რომ 20 აგვისტოს საავტომობილო მრეწველობის 30 ათასმა მუშამ, რომლებიც საწარმოო პროფკავშირთა კონგრესში შედიან, მიიღო რეზოლუცია, სადაც ისინი სამხედრო ბეგრის წინააღმდეგ ილაშქრებენ. საავტომობილო მრეწველობის მუშათა წარმომადგენლებმა კონგრესს დეპეშა გაუგზავნეს.

ბრძოლები აფრიკაში

ლონდონი, 23 აგვისტო (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს ინგლისის სარდლობის შემდეგს კომუნიკეს: „ჩვენმა საჰაერო ძალებმა მცირე სიმაღლიდან იერიში მიიტანეს მტრის გემებზე, რომლებიც იდგნენ რეიდზე ბომბას (ლიბია) ნავსადგურში. პირდაპირი მოხვედრით მოსპობილია ორი წყალქვეშა ნავი, ერთი საესკადრო ნაღმოსანი და დამხმარე გემი. ყველა ჩვენი თვითმფრინავი დაუზიანებლად დაბრუნდა თავის ბაზებში. ინგლისის ყუმბარმშენები თავს დაესხნენ აგრეთვე მოტოტრანსპორტის ჯგუფს და სარემონტო სახელოსნოებს დერნში. ჩამოგდებულმა ყუმბარებმა მნიშვნელოვანი ზარალი გამოიწვიეს. 22 აგვისტოს ჩვენმა თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს იტალიის საჰაერო ბაზას დისში (აბისინია). აღნიშნულია ყუმბარის პირდაპირი მოხვედრა აეროდრომებსა და სხვა ნაგებობებზე. სერიოზული ბომბარდირება განიცადეს აგრეთვე ანგარებმა და რკინიგზის სადგურმა დირიდაუაში. მტრის ავიაგამანადგურებელთა წინააღმდეგობა დაძლეულ იქნა. ჩამოგდებულია ერთი ჩვენი თვითმფრინავი. ფრანგმა მფრინავებმა, რომლებიც ინგლისის საჰაერო ძალების შემადგენლობაში შედიან, მოახდინეს მნიშვნელოვანი საზვერავი გაფრენა მტრის ტერიტორიაზე“.

კომუნიკეში ნათქვამია, რომ ხმები, რომლებსაც იტალიის წყაროები ავრცელებენ, თითქოს ბრიტანეთის სომალის დაკავების დროს იტალიელებს ხელთ ეგდოთ საჭურვლის დიდი საწყობები, ჭორს წარმოადგენს.

საბინაო კრიზისი ფინეთში

ჰელსინკი, 23 აგვისტო (საკდესი). გაზეთი „სუომენ სოსიალი-დემოკრაატი“ სწერს, რომ ჰელსინკში და ფინეთის სხვა ქალაქებში საბინაო ფართობის მწვავე ნაკლებობაა. „სერიოზული საბინაო კრიზისის მიუხედავად,—სწერს გაზეთი, — საბინაო მშენებლობა თითქმის სავსებით შეჩერებულია. ბინის ქირა მატულობს. სახლპატრონები ამას ხსნიან გადასახადების გადიდებით, შეშის, ნახშირისა და სხვათა ფასის ზრდით“.

გაზეთი აქვეყნებს აგრეთვე საუბარს საავტობუსო მიმოსვლის პატრონთა კავშირის მდივანთან, რომელმაც განაცხადა, რომ ბენზინის უქონლობის გამო ამჟამად ავტობუსების მხოლოდ 50 პროცენტი მუშაობს.

საომარი მოქმედება ჩინეთში

ცენტრალურ ჩინეთში

ხუბეის პროვინციის ცენტრალურ ნაწილში, ჯუნსიანის რაიონში 15-დან 22 აგვისტომდე ჩინეთისა და იაპონიის ჯარებს შორის ბრძოლა სწარმოებდა. ამ ხნის განმავლობაში იაპონელებს მოუკლის და დაუჭრეს დაახლოებით 2 ათასი კაცი.

სამხრეთ ჩინეთში

გუანსის პროვინციის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ლუნჯოუს რაიონში, ჩინეთის ჯარმა დაიბრუნა შანცინი და ნინმინი.

ამ ცოტა ხნის წინათ ჩინეთის ჯარი ღამით შეიჭრა ხუასიანში (კანტონის ჩრდილოეთით). აქ მან ცეცხლი წაუკიდა იაპონელთა სამხედრო საწყობებსა და ყაზარმებს. ამ უკანასკნელ ხანს ჩინელმა პარტიზანებმა კანტონ-ხანკოუს რკინიგზაზე დაამსხვრიეს იაპონიის რამდენიმე სამხედრო მატარებელი.

ჩრდილოეთ ჩინეთში

შანსის პროვინციის სამხრეთ ნაწილში ჩინელმა პარტიზანებმა ხელთ იგდეს მთელი რიგი მნიშვნელოვანი პუნქტები და შეუძლებელი გახადეს იაპონიის ჯარის მოქმედება. იაპონელთა რაზმი, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინათ დაიწყო იუსიანიდან ნანლინისაკენ წაწევა, იძულებული გახდა დაეხია პირვანდელი პოზიციებისაკენ, ვინაიდან ჩინელმა პარტიზანებმა მათ წინააღმდეგ რამდენიმე მიმართულებით იერიშები მიიტანეს. ასეთივე ბედი ეწია იაპონელთა მეორე რაზმსაც, რომელიც ცდილობდა ხელთ ეგდო მთელი რიგი პუნქტები ლინფინის რაიონში.

შანდუნის პროვინციაში ამ უკანასკნელ ხანს ჩინელმა პარტიზანებმა გააცხოველეს მოქმედება ტაიერჯუანის რაიონში. ჩინელებმა ეს პუნქტი მოსწყვიტეს იაპონელთა ბაზებს და შემდეგ დაიკავეს.

ხენანის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში 7 აგვისტოს ჩინელმა პარტიზანებმა ააფეთქეს იაპონიის სამხედრო მატარებელი, რომელიც სინსიანიდან ბოაის მიდიოდა. მატარებლის დამტვრევის დროს მოკლულ იქნა იაპონელთა ბრიგადის უფროსი, გენერალი სოგუსი.

⊙

ჩუნცინზე 19 და 20 აგვისტოს იაპონიის ავიაციის თავდასხმების შედეგად უცხოელებს დიდი ზარალი მოუვიდათ. ყველაზე უფრო დაზარალდნენ ინგლისელები. კანადის სამისიონერო დაწესებულებათა ზარალი 250 ათას ამერიკულ დოლარს უდრის. დიდი ზარალი მოუვიდათ ამერიკელებსაც.

⊙

ჩინეთის ხელისუფლება უარჰყოფს იაპონელთა მიერ გავრცელებულ ხმებს ჩინეთის ჯარის მიერ საფრანგეთის ინდო-ჩინეთის საზღვრის დარღვევის შესახებ. იგი აგრეთვე უარჰყოფს ხმებს იმის შესახებ, თითქოს საფრანგეთის ინდო-ჩინეთის ხელისუფლებას, „საზღვრის დარღვევასთან“ დაკავშირებით, პროტესტი გაეგზავნოს ჩინეთის ნაციონალური მთავრობისათვის.

23 აგვისტო (საკდესი).

მოკლე ცნობები

⊙ 21 აგვისტოს განკარგულებით შვეიცარიაში აკრძალულია შაქრის, შვრიის, ქერის, ბურღულის, ხორბლის, სიმინდის, ფქვილის ნაწარმის, ბოსტნეულის, ცხიმისა და ზეთის თავისუფალი გაყიდვა. მეურნეობებს, რომლებიც თვითონ აცხობენ პურს, უფლება აქვთ მიიღონ საჭირო ფქვილი. ეს განკარგულება ძალაშია 13 ოქტომბრამდე.

⊙ ჰელსინკში შესდგა შოფერთა პროფკავშირის წევრთა საერთო კრება, რომელზეც განიხილეს საკითხი ხელფასის მომატების შესახებ. მელითონეთა პროფკავშირმა გადასწყვიტა წინადადება მისცეს მეწარმეებს გაადიდოს მუშათა ხელფასი ერთი მარკით საათში და ტარიფები სანარდო სამუშაოზე—15 პროცენტით.

⊙ ვინძორის ჰერცოგი ოფიციალურად შეუდგა ბაჰამის კუნძულების გუბერნატორის მოვალეობის შესრულებას.

⊙ 5 ოქტომბერს სტამბოლში დაიწყება ბალკანეთის ქვეყნების მძლეოსნობის მე-11 ოლიმპიადა, რომლის მოწყობა გასულ წელს დავალებული ჰქონდა თურქეთს.

⊙ სირიის სამხედრო ტრიბუნალმა სხვადასხვა ვადით პატიმრობა მიუსაჯა 21 კაცს, რომელთაც ბრალი ედებათ კომუნისტურ მუშაობაში.

„ქ ა ჯ ა ნ ა“

თბილისის კინოსტუდიის ახალი ფილმი

„ქაჯანა“ — მწერალ ნიკო ლომოურის ერთერთი საუკეთესო მოთხრობაა. საბჭოთა ბავშვები გატაცებით კითხულობენ ამ მოთხრობას, რომელშიც ცოცხლად და მხატვრულად არის მოცემული რევოლუციამდელი ქართული სოფელი თავისი ჩამორჩენილობით და ცრუმორწმუნეობით, რისი მსხვერპლიც გახდა პატარა, ნიჭიერი ქაჯანა.

მოთხრობა „ქაჯანა“ საბჭოთა ხელისუფლების წლებში 7-ჯერ გამოიცა ცალკე ბროშურად და პირდაპირ რამდენიმე დღეში გასაღდა. ეს მოთხრობა, როგორც ლიტერატურული ნაწარმოების საუკეთესო ნიმუში, ამშვენებს სასკოლო სახელმძღვანელოებს.

ახალგაზრდა დრამატურგმა კ. გოგოძემ სახელმწიფო ქართული მოზარდმაყურებელთა თეატრის დავალებით, ნ. ლომოურის მოთხრობის მიხედვით დასწერა პიესა „ქაჯანა“, რომელიც წავა თეატრის ახალ სეზონში. კ. გოგოძემ დასწერა აგრეთვე სცენარი ფილმისათვის.

თბილისის კინოსტუდია შეუდგა მზადებას ფილმის „ქაჯანას“ დასადგმელად. დადგმა მინდობილი აქვს ახალგაზრდა რეჟისორს კ. ფიფინაშვილს. გადაღებას აწარმოებს ოპერატორი ფ. ვისოცკი. მხატვრად მოწვეულია რ. მირზაშვილი. მუსიკას სწერს კომპოზიტორი ა. მაჭავარიანი.

გადაღება იწარმოებს სოფ. გერში (სამხრეთ-ოსეთი), ატენში (გორის რაიონი) და თბილისში. გეგმით ახალი ფილმი მზად უნდა იქნეს 1941 წლის მარტში. დამდგმელთა კოლექტივმა ვალდებულება იკისრა მთელი მუშაობა ფილმის გადასაღებად ჩაატაროს მაღალხარისხოვნად და სურათი გამოუშვას მიმდინარე წლის დამლევისათვის. (საქდესი).

სასამართლო

ხულიგანი — დიასახლისები

სისტემატურად მაღაზიის წინ რიგში დგომა, წესრიგის დამცველებისა და მოქალაქეებისათვის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება, აურზაურისა და დებოშის მოხდენა,—აი რა ახასიათებდა დიასახლის მარიამ მელიქის-ასულ უსტრაშინას.

ამ რამდენიმე დღის წინათ მ. მ. უსტრაშინამ თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონში ჩვეულებრივად მიაკითხა ერთერთ მაღაზიას და სცადა რიგს გარეშე შესულიყო მაღაზიაში. რადგან რიგს გარეშე არ შეუშვეს, მან სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა წესრიგის დამცველებს და იქვე მდგომ ზოგიერთ მოქალაქეს. ხულიგანი ქალი ამასაც არ დასჯერდა და შეეცადა შეურაცხყოფა მიეყენებინა მილიციის მუშაკებისათვის, მაგრამ ის შეიპყრეს.

ანალოგიურ შემთხვევას ჰქონდა ადგილი 26 კომისრის სახელობის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარში. დიასახლისმა ნატალია ზნაკოვსკაიამ მაღაზიაში რიგს გარეშე შესვლის მიზნით ასტეხა დებოში და სცემა წესრიგის დამცველებს: ნ. ზნაკოვსკაია დააპატიმრეს.

ქალაქ თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის მეოთხე უბნის სახალხო სასამართლომ ამხ. ს. ამირჯანოვის თავმჯდომარეობით და სახელმწიფო ბრალმდებლის, რაიონის პროკურორის ამხ. ა. ცხადაძის მონაწილეობით ამ დღეებში გაარჩია ხულიგან დიასახლისების—მ. მ. უსტრაშინას და ნ. ზნაკოვსკაიას საქმე.

სასამართლოს დადგენილებით მარიამ მელიქის-ასულ უსტრაშინას და ნატალია ზნაკოვსკაიას მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა თითო წლით.

მ. სურგულაძე

სასიმღერო ფოლკლორის შეგროვება

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავისათვის, საქართველოს ხალხური შემოქმედების სახლი რესპუბლიკის რაიონებში აწყობს ხალხური მუსიკალურ-სასიმღერო ფოლკლორის შეგროვებას.

ადგილებზე იგზავნებიან კომპოზიტორები. გ. ჩხიკვაძე ფოლკლორს შეაგროვებს აფხაზეთში. ვ. უმრ-შატი მიემგზავრება ახალციხესა, ახალქალაქსა და ბოგდანოვკაში, სადაც ჩაწერს სომხური ფოლკლორის ნიმუშებს (საქდესი).

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის (ხარაგოულის) რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1529807, გაცემული ზაქარია ლაზარეს-ძე **გუდაძის** სახელზე, და პარტბილეთი № 1533171, გაცემული ბიქტორ მათეს-ძე **კიკნაძის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ. — „განთავისუფლება“, **ოქტომბერი** — „გამანადგურებლები“, **დამკვრელი** (ზაფხულის) — „პეპო“, **დამკვრელი** (ზამთრის) — „ზანგეზური“, **კომკავშირელი** (ზაფხულის) — „ვოლგა-ვოლგა“, **კომკავშირელი** (ზამთრის) — „მთის ნაკადი“. **სპარტაკი** — „უმზითვო პატარძალი“, **ლუქსემბურგის სახ.** — „ჩემი სიყვარული“, **კომინტერნი** — „უკანასკნელი ჯვაროსნები“, **26 კომ. სახ.** (ზაფხულის) — „საბჭოთა ლიტვაში“, „საბჭოთა ლატვიაში,“, „საბჭოთა ესტონეთში“, „მებრძოლი ახალგაზრდობა“, **26 კომ. სახ.** (ზამთრის) — „წითელი ეშმაკუნები“. **ორჯონიკიძის სახ. პარკი** — „გავროში“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

საქართველოს სახელმწიფო ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ჩარიცხულთა სია

მექანიზაციის ფაკულტეტზე

ახვლედიანი შ. ა., აზაურაშვილი თ. ა., ამაშუკელი რ. დ., ბაღდოშვილი პ. ი., ბერაია ვ. ვ., ბოლქვაძე გ. ს., ბედიანიძე ა. ა., გოგუა კ. ა., გამცემლიძე ნ. ე., გოგუაძე ვ. ვ., გოგლიძე ე. ლ., გოგოხია გ. ძ., დევდარიანი შ. მ., დანელია გ. ვ., ზაბახიძე გ. ა., ზაალიშვილი ო. ე., კეკუტია ე. ვ., კობერიძე შ. ზ., კარსანიძე დ. ნ., კაპანაძე გ. ს., ლეჟავა მ. გ., ლეკვეიშვილი ა. გ., ლორთქიფანიძე გ. მ., მოქია ი. გ., მირზაბეკიან ს. ხ., მუმლაძე ა. გ., მარსაგიშვილი გ. ა., მაჭავარიანი ა. ვ., ნაჭყებია ა. ს., ოხანაშვილი ს. გ., ომანიძე მ. ნ., პოლოსოვი ზ. გ., სუპატაშვილი შ. ვ., ტურაშვილი ა. გ., უგრეხელიძე ტ. ი., ფირცხალავა ლ. ე., ფილაური ვ. ა., ქიტიაშვილი ვ. ს., ქოთოლაშვილი ი. ნ., ქვარცხავა ო. კ., ქურციკიძე პ. ქ., ღამბაშიძე ს. დ., ყურაშვილი გ. ი., ჩიქობავა ნ. ვ., ხარებავა გ. ა., ხუნწარია მ. ი., ჭიჭინაძე ე. გ., ჭელიძე ა. ი., ცინაძე ს. ნ., ციქურიშვილი ი. ი.

ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე
(ჩაის ტექნოლოგ. განყ.-ბა)

ანთიძე შ. მ., ანდრიაძე შ. კ., ბეჟანიძე ო. ხ., ბეჟანიძე ქ. ა., ბელანაშვილი გ. ბ., ბუბუტეიშვილი დ. გ., გურგენიძე ა. უ., გოგუაძე პ. ა., გაგუა ა. მ., გვასალია მ. თ., გაფრინდაშვილი ნ. ა., გოგუა ა. მ., გოგიტაშვილი ა. თ., დარბაიძე გ. ა., დოქვირი ქ. ე., დარსაველიძე პ. პ., დვალიშვილი ი. ს., ვაჩეიშვილი ი. ს., თედეიშვილი რ. დ., თავშავაძე თ. ე., კაჭარავა რ. ბ., კვანტრიშვილი ს. კ., კობახიძე ჟ. ს., ლორთქიფანიძე ო. ა., ლაშხი ზ. ს., ლაითაძე ე. ნ., მარგალიტაძე თ. მ., მიქიაშვილი თ. დ., მგელაძე ზ. ი., მეტრეველი ნ. ი., ნადირაძე ი. გ., ნოდია თ. ი., ოსაძე მ. კ., პატარქალაშვილი ე. ვ., პაპავა პ. ა., პაპოშვილი გ. ი., რუსიაშვილი ვ. ლ., საგინაძე გ. ო., სურგულაძე ვ. ი., სირაძე მ. ა., ტყებუჩავა კ. მ., ტორჩინავა გ. ი., ფუტკარაძე ნ. ა., ფუტკარაძე შ. ა., ყველაშვილი თ. ი., შენგელია მ. ვ., ჩოგოვაძე ა. ა., ძნელაძე ნ. კ., ძაბირაძე თ. ი., ცქვიტინიძე ნ. პ.

ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე
(ღვინის და ხილის ტექ. გან-ბა)

ბუაძე ბ. პ., ბექაური ბ. ლ., ბლუიშვილი ე. ნ., გოდიბაძე მ. ა., გოგიბედაშვილი ს. მ., გვიმრაძე ნ. მ., გელაშვილი თ. გ., გობრონიძე ვ. მ., დევიძე შ. კ., დანელიშვილი ც. მ., ვეფხვიშვილი ს. ა., ლომიძე ქ. ხ., ლომიძე ე. ვ., ლომიძე ი. ე., მირიანაშვილი ა. ვ., მესაბლიშვილი მ. ა., მეგრელიძე გ. ს., პირველაშვილი თ. ვ., რობაქიძე მ. ი., სირბილაძე ა. ლ., სირბილაძე ვ. ლ., სისაური ა. გ., ტლაშაძე რ. ს., ღლონტი ი. დ., ჭიჭინაძე ბ. გ.

აგრონომიულ ფაკულტეტზე

აბულაშვილი ქ. ი., ასათიანი ნ. ჟ., არახამია გ. ა., ალადაშვილი ა. გ., არლანაშვილი მ. ბ., ალხაზიშვილი ი. ნ., ასლანიდი ნ. თ., ბარათელი მ. ი., ბრეგვაძე პ. ი., ბენიძე ო. მ., ბაღდასაროვი რ. ა., გაბელაია ნ. პ., გეფერიძე გ. ო., გაბიანი ე. მ., გუნცაძე ბ. რ., გურგენიძე რ. ა., გაბიჩვაძე დ. ი., გრიგოლია გ. კ., დუგლაძე ქ. გ., დონაძე პ. ბ., დარჩიაშვილი ე. თ., დოქვირი ს. ა., დეკანიძე ვ. უ., დალაქიშვილი ი. გ., დავიდოვი ნ. დ., ელიავა მ. ი., ვარდოსანიძე ო. თ., ვარდანაშვილი ა. ი., ზედელაშვილი თ. გ., ზამთარაძე შ. დ., თავართქილაძე თ. ი., იმედაძე ნ. ე., კუჭაშვილი ი. ნ., კორძახია შ. ს., კვიცარიძე გ. ე., კაშია გ. ვ., კობერიძე ა. ვ., ლაღიძე ა. ვ., მარსანოვა ვ. ა., მიქაძე დ. ა., მახათაძე ს. მ., მახარაშვილი ს. ი., მეყანწიშვილი ი. ვ., ობოლაძე გ. პ., პარკაძე გ. ა., რუხაძე ა. მ., სიხარულიძე თ. მ., სანაძე თ. გ., საგანელაძე ს. ნ., სისაური ნ. ი., ტაბიძე ქ. ზ., ტვერდოხლებოვი ი. ა., ქემაშვილი მ. ი., ქორქაშვილი ლ. ი., შამათავა ი. ა., შალამბერიძე ბ. ნ., შაკიაშვილი ა. ნ., ჩიქოვანი გ. ა., ჩარგაზია ს. მ., ხვედელიძე გ. ვ., ჯახუტაშვილი ნ. ი., ჯამბაზაშვილი ი. ს., ჯაში ვ. კ., წერეთელი ა. პ., წერეთელი ე. ს., ციფურიშვილი ი. ს., ცანავა მ. გ., ცხადაია ნ. ლ., ცომაია ნ. ნ., ცისკარიშვილი გ. ვ., ჭანტურია შ. პ., ჭანტურია ვ. გ., ჭანტურიძე თ. დ., ყვინჩია მ. ი., ყალიჩავა ს. შ.

მებაღე - მევენახეობის ფაკულტეტზე
(მევენახეობის განყოფილება)

ბაიდოშვილი ე. ა., ბერიაშვილი ნ. დ., ბერიაშვილი ქ. ზ., გაბილაია მ. ბ., გელაშვილი ნ. დ., გაგნიძე მ. ა., გურასპაული ნ. ი., გოგოლაძე ა. ა., თურძახიძე კ. დ., მანჯავიძე ნ. ს., მეტონიძე ე. ი., მენთეშაშვილი ს. ს., მამალაძე ა. ი., სამებელაშვილი ა. გ., ფანჩულიძე ს. ი., ფირანიშვილი ს. ა., ქანთარია ნ. ე., ქუთლოევი ა. ზ., ყიფშიძე დ. მ., შიშნიაშვილი ჯ. პ., ჯიოშვილი ვ. ი., ჯოხაძე მ. ს., წულუკიძე ა. ი., ქიტაშვილი ვ. ი., ჭიპაშვილი რ. ნ.

მებაღე - მევენახეობის ფაკულტეტზე
(მეხილეობა - მებოსტნეობის განყოფილება)

ასათიანი რ. ა., ბაბუციძე თ. ვ., ბაზაზაშვილი ბ. მ., გეგუა დ. ვ., გერსამია ი. პ., გვენცაძე თ. ი., დარეჯანიშვილი ნ. ი., ვაშაკიძე ე. კ., ზარდიაშვილი ნ. ზ., კვანტრიშვილი მ. კ., ლიპარტელიანი შ. ი., ლურსმანიშვილი თ. დ., მაჩიტაძე თ. ს., მდივნიშვილი შ. ა., ნადირაძე ვ. ი., როყვა მ. რ., სახანელი ქ. ს., სვანიძე შ. გ., სამარგულიანი ა. ბ., ქარსელიძე ვ. ნ., ყიფიანი ა. ა., ჩიხლაძე მ. ე., ჩულორჯიშვილი მ. ა., ხარჩილაძე ქ. ი., ჭარხალაშვილი ე. ე.

სუბტროპიკულ ფაკულტეტზე

ავალიანი ნ. რ., არეშიძე დ. ნ., ანთაძე მ. ხ., აზიკური ა. ი., ბენდიანაშვილი ე. კ., ბუჯიაშვილი მ. ნ., ბაღდასაროვა ე. ა., ბიბილეიშვილი ნ. გ., გოდერძიშვილი ნ. ქ., გაიდამაკი ე. ნ., გაჩეჩილაძე ს. ნ., გელაშვილი თ. ლ., გოგაძე ნ. ე., გაბუნია ე. ბ., გოგიჩაიშვილი ლ. კ., გოგინაშვილი ო. დ., გელაშვილი მ. დ., გობრონიძე კ. გ., დეკანოსიძე გ. მ., ვართანოვი ს. ა., ზუკაკიშვილი მ. გ., თედეევა ქ. ი., ინაშვილი ი. ი., ისახანოვა რ. ს., კახიანი ე. ვ., კუტუბიძე ე. ი., კუტუბიძე ჰ. თ., კეზელი გ. ა., კუჭავა ვ. პ., კვაჭაძე ე. ა., კვანტალიანი ტ. ი., მოწერელი ა. ბ., მელიქიშვილი ნ. გ., ოდილავაძე თ. პ., სულთიძე ბ. ი., ტუღუში მ. ტ., ურთქმელიძე ე. ა., ფხალაძე თ. ს., ფიფია ი. ვ., ქელეხსაშვილი ლ. ვ., ღვინიაშვილი ი. ზ., ყაზაროვა ე. ა., ჩინჩალაძე თ. გ., ჩხაიძე ჩ. ნ., ჩიკორაია ნ. პ., ხურუმოვა ტ. ნ., წერეთელიძე ა. მ., ხუციშვილი ლ. ო., ძნელაძე დ. პ., ჯულელი მ. ი.

მეაბრეშუმეობის ფაკულტეტზე

ბარნაბიშვილი ე. გ., ბოჭორიშვილი ქ. ტ., ბერაია ტ. კ., ბაღდავაძე თ. ი., გვარჯალაძე ტ. კ., გოგუა ლ. ა., გვასალია ნ. ტ., დოლონაძე ქ. ა., ებრალიძე ე. ი., ზვიადაძე თ. დ., თავაძე შ. დ., ილარიონოვი ნ. ა., კინწურაშვილი ო. მ., კვაჭანტირაძე ქ. ლ., კუხალეიშვილი მ. ა., ლომსაძე ა. ვ., მიჩიტაშვილი ჟ. ა., მხეიძე ქ. გ., ნიკურაძე ვ. გ., ნადირაძე ქ. ლ., ნიქაბაძე ქ. ს., ოჩხიკიძე ტ. ბ., როსტომაშვილი ე. დ., როხვაძე მ. ო., სირაძე დ. მ., სანოძე ვ. ს., ფაცია ო. ნ., ქოიავა მ. პ., ქაშაკაშვილი ნ. ბ., ქურდაძე გ. ვ., ქათამაძე ა. გ., ქაჯაია ე. დ., ღაღანიძე მ. რ., ღვინეფაძე ლ. ს., შოთაძე მ. მ., შენგელია თ. ბ., შარაშიძე მ. პ., შავგულიძე შ. კ., ჩაგანავა ნ. კ., ჩხიკვაძე შ. პ., ჩიტეიშვილი შ. დ., ჩიტეიშვილი ნ. დ., ჩხეტია მ. ს., ხელაძე კ. ლ., ხაჩატუროვი ო. გ., ხუციშვილი დ. ს., ჯინჭარაძე გ. დ., ჭიაბრიშვილი თ. ა., ჭეიშვილი ო. ა., ჭითაშვილი ზ. დ.

მცენარეთა დაცვის ფაკულტეტზე

ახალკაცი უ. ნ., ახვლედიანი ზ. კ., არევაზოვი ტ. ი., ასათიანი მ. ზ., ბუაჩიძე პ. ს., ბესელია მ. ნ., ბოკუჩავა თ. გ., ბერძენიშვილი მ. ს., გოგოლაძე თ. ი., გაბისკირია ტ. ს., გაიმარჯვაშვილი ნ. დ., გიორგობიანი თ. ვ., გეგელია ლ. დ., გაბელია ვ. პ., დონაძე ვ. ზ., დგებუაძე ნ. ბ., ევგენიძე ს. კ., ვაჩაძე ბ. ი., თაბუაშვილი ქ. გ., იანქოშვილი თ. ვ., კრიჭაშვილი მ. ვ., კობალაძე გ. მ., კვანტალიანი თ. ვ., ლობილაძე თ. ი., ლატარია ნ. გ., მეშველდიშვილი ე. ნ., მეგრელიძე ვ. ლ., მაისაია ო. რ., ნოსელიძე ტ. კ., ნინიძე გ. თ., ტალალაევა ე. თ., ტუღუში ა. გ., ტუღუში ნ. მ., უბილავა ტ. ა., ფოფხაძე ლ. რ., ფაცია ვ. ნ., ქოიავა თ. ბ., ქვათაძე ნ. ს., ღურწკაია ვ. ი., შეკლაშვილი ე. ა., ჩავლეიშვილი ა. ო., ჩოჩია ბ. გ., ხარიტონაშვილი თ. ს., ძიმისტარაშვილი კ. ა., ჭიჭინაძე ე. გ., ცისკაძე პ. თ., ცერცვაძე ნ. ა., ცეცხლაძე თ. ლ., ცერცვაძე კ. ა., ჰელიძე ვ. ე.

სატყეო სამეურნეო ფაკულტეტზე

აზიკური კ. ი., ბაქრაძე გ. პ., ბერიაშვილი ი. ბ., გოგნიაშვილი ი. დ., თიბილაშვილი ა. რ., ივანოვი ა. ი., კახნიაშვილი დ. ა., კაზანჯიევი გ. ს., კვიჭიხიძე გ. მ., ლეკაშელი კ. ს., ნიჟარაძე კ. დ., ორთოიძე შ. ვ., ოგანეზოვი გ. ა., სვანიძე გ. ბ., ტუღუში ნ. ი., ქარჩავა ბ. ძ., შენგელია ფ. რ., ჩარხიანი ზ. გ., ხითარიშვილი ა. პ., ხახუტაშვილი ა. დ., ჯმუხაძე ი. ბ., წერეთელი თ. ა., ძულიაშვილი თ. ა., ცუცუნაშვილი ქ. ნ. ციხისთავი ა. დ.

30 და 31 აგვისტოს დილის 9 საათიდან 4 საათამდე იწარმოებს ახლად ჩარიცხულთა რეგისტრაცია, ვინც რეგისტრაციაზე არ გამოცხადდება, მექანიკურად იქნება გარიცხული.

მეცადინეობა ყველა ფაკულტეტზე დაიწყება 2 სექტემბერს.

საქ. სახ. ლ. პ. ბერიას სახელობის სას.-სამ. ინსტიტუტის დირექტორი:
დოც. ნ. ტ. გელაშვილი.

საქსახესტრადის საზაფხულო თეატრი და ბაღი. პლეხანოვის პროსპ., 123. ტელ 3-18-50

საზაფხულო თეატრი
25 აგვისტოს მე-2 აბ. მე 5 წარმ.
მ ა რ ი ც ა
26 აგვისტოს მე-5 აბ. მე-5 წარმ.
ცისფერი სისხლი
27 აგვისტოს მე-4 აბ. მე-6 წარმ.
ქეთო და კოტე
დასაწყისი 9 საათზე.

ღ ი ა ე ს ტ რ ა დ ა
25 და 26 აგვისტოს
ცირკი სცენაზე
ესტრადის დიდი საღამო
მონაწილეობენ: მედალით „შრომითი წარჩინებისათვის“ დაჯილდოებულნი
ა. შუროვ და ა. ბრადლერი
დაწვრილებით აფიშებში.

27, 28, 29. 30 აგვისტოს
ჯაზ-აკორდეონის
გასტროლების გაგრძელება
როზენფელდის
ხელმძღვანელობით.

ღია ესტრადაზე შესვლა ბაღის შესასვლელი ბილეთებით. დასაწყისი საღ. 10 საათზე. ბაღში უკრავს სასულე ორკესტრი ბახმანის ხელმძღვანელობით

მეუღლე გიორგი ივანეს-ძე დეკანოზიშვილი, შვილი ვახო, ძმა ზაბულონი, დები ტატიანა, თამარ გაფრინდაშვილები იუწყებიან

ბაბო ბესარიონის-ასულ გაფრინდაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 25/VIII. 7614

თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მეორე საბავშვო ბაღის თანამშრომლები იუწყებიან თამარ საყვარელიძის ძმის

ალიოშა საყვარელიძის

გარდაცვალებას. 7605

შვილები ვანო ოძელაშვილი ცოლით სონიათი, ნატალია გარსევანიშვილი ქმრით ევგენით, შვილებით თეიმურაზით, ქეთოთი იუწყებიან

ნინო მოსეს-ასულ ოძელაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 25/VIII 7½ ს. გამოსვენება 26/VIII 5½ ს. ჯორჯაძის, 2. 7626

მშობლები გოგი, გოცა შვილებით ჯუნიკოთი, დალით, ბებიები, ბაბუა, მამიდები, დეიდა ქეთო კორძაია პატარა ლიანათი იუწყებიან

პატარა სანდრო ტაბატაძის

გარდაცვალებას. 7617

მეუღლე ხეხე, სიდედრი სოფო, შვილები ვანო, ნადია, თამარ, შოთა იუწყებიან

სანდრო ზურაბის-ძე მახარაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 25/VIII 7 ს. გამოსვენება 26/VIII 6 ს. ყოფ. მიხეილის საავადმყოფოდან, ვაკის სასაფლაოზე. 7615

მეუღლე სიკო შვილებით, მაზლი სანდრო, რძალი თამარ გედევანიშვილები, დები ნენე, სონა იუწყებიან

ევა დავითის-ასულ გედევანიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 25/VIII ქ. გორში. 7616

შვილი მირიან ჯაფარიძე მეუღლით ნუნუთი და სიმონ ჯანაშია ოჯახით იუწყებიან

ანა ჯალაღანია-ჯაფარიძის

გარდაცვალებას. სოფ. მესტიაში. 7625

მშობლები ქეთო, ნოშრევან ბურკაძეები იუწყებიან

პატარა თ ე ნ გ ი ზ ი ს

გარდაცვალებას. დაკრძალვა 25/VIII 5 ს. გამოსვენება წყალსაზიდის, 12. 7623

სარეწაო საბჭოს ცენტრ. სამეცნიერო ექსპერიმენტალური ლაბორატორიის დირექცია და თანამშრომლები იუწყებიან ინჟინერ ვალერიან ახვლედიანის მამის

ისაკ ბახვას-ძე ახვლედიანის

გარდაცვალებას. 7607

შალვა, გოგოშკა დუმბაძეები, ნინო დუმბაძე - შაგულიძე შვილებით მედიკოთი, თამაზით, ლუბა მეფარიშვილი შვილებით ფუცქუთი, ნანათი იუწყებიან ანდრო გაფრინდაშვილის ძმის

გ ო გ ი ს

გარდაცვალებას. 7609

მეუღლე ეფრემ, შვილები თამარ, ეთერ, შოთა, მირიან, რძალი ნუნუ, სიძე დ. მარგველაშვილი იუწყებიან

ანიჩკა დიმიტრის-ასულ ჯალაღანია-ჯაფარიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. წულუკიძეში, 25/VIII, მარქსის 19. 7619

მცხეთის საშუალო სკოლის და პედსასწავლებლის მასწავლებლები იუწყებიან ამავე სკოლის მასწავლებელ

ელენე ჭილაშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება 25/VIII 4 ს. საზოგადოების 5. 7620

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მმ. მდივნის მოადგილისა — 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის 3—81—94, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის — 3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მმ. მოძრაობის და გამოშვების—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

ჟე 79